შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: ჩხრეკა და ამოღება, მათი პროცესუალური დახასიათება

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

სტუდენტი: ნინო ხაჟალია

ნაშრომის ხელმძღვანელია პროფესორი: ვენედი ბენიძე

თბილისი

2019

შინაარსი:

ანოტაცია 3

Annotation 4

შესავალი 5

თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა 7

თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი 11

2.1 ჩხრეკისა და ამოღების არსი, მიზანი და საფუძვლები. 11

2.1.1. ჩხრეკის საფუძველი. 18

2.1.2. ამოღების საფუძველი. 19

2.2. ჩხრეკისა და ამოღების წესი. 22

2.2.1 ჩხრეკა/ამოღების ჩატარების წესი სასამართლოს განჩინებით. .. 24

2.2.2 ჩხრეკა/ამოღებს ჩატარების წესი სასამართლოს განჩინების გარეშე. 33

2.3. ჩხრეკა/ამოღების სახეები 45

თავი III. კვლევის შედეგები. 52

დასკვნა 54

გამოყენებული ლიტერატურა: 56

დანართი 1. 60

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება ჩხრეკა/ამოღების პროცესუალურ დახასიათებას. იგი შედგება შესავლის, სამი თავის, შვიდი ქვეთავისა და დასკვნისაგან. ნაშრომს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და დანართი - 2017-2018 წლის სტატისტიკა ჩხრეკა-ამოღების თაობაზე დიაგრამის სახით. მთლიანობაში თემა მოიცავს თაბახზე ნაბეჭდ 65 გვერდს.

ნაშრომის პირველ თავში მოკლედ არის მიმოხილული ის ლიტერატურა, რომელიც გამოყენებულია თემაში. მეორე თავში მოცემულია თემის ძირითადი ნაწილი, სადაც დეტალურად არის განხილული ისეთი საკითხები, როგორიცაა: ჩხრეკისა და ამოღების არსი, მიზნები და ამოცანები, ასევე მიმოხილულია ჩხრეკის და ამოღების როგორც ფორმალური, ისე სამართლებრვი საფუძვლები. გაანალიზებულია აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების წესები და სახეები. თემის უკეთ წარმოსაჩენად, თითოეული საკითხის მიმოხილვისას გამოყენებულია პრაქტიკული მაგლითები. მეორე თავში ასევე შევხვდებთ კვლევას, რომლის მიზანია უკეთ დაგვანახოს რა დაბრკოლებების წინაშე დგას საგამოძიებო ორგანოები ამოღების წესის დაცვის დროს. ნაშრომში განხილულია ჩხრეკასთან დაკავშირებული ხარვეზი. მესამე თავს წარმოადგენს კვლევის შედეგები.

Annotation

The given work touches on procedural character of search and wisdraw. It consists of an introduction, three chapters, seven subtitles and a conclusion. The work enclosed with the list of appled literature and the appendix, that represents a diagram on statistics of search and withdraw in the years 2017-2018. In the whole the theme contains 65 printed sheets.

The first chapter of the work deals with the brief rewiew of the applied literature. The main part of the theme is given in the second chapter, where the following questions are discussed in detail. Namely: the essence, goals and tasks of search and withdraw, formal as well as law principles of search and withdraw and analysis of the rules and the types of the mentioned investigating activites. For obviousness the practical examples are applied while discussing each question. In the second chapter we find a research/analysis the goal of which is to illustrate what impredimentare to be coped with by investigating agencies while following the rules of withdraw. The deficiency connected with search is discussed in the given work. The third chapter represents the outcomings of the research.

შესავალი

თემის აქტუალობა - ჩემს მიერ განსახილველი თემა არის ,,ჩხრეკა და ამოღება, მათი პროცესუალური დახასიათება. აღნიშნული საკითხი ეხება ისეთ საგამოძიებო მოქმედებათა კატეგორიას, რომელიც მიმართულია უკვე ჩადენილი დანაშაულის გამოსაკვლევად და ჩამდენი პირის გამოსააშკარავებლად.

თემა უაღრესად აქტუალურია, რადგან სახელმწიფო ერთის მხრივ, ცდილობს ებრძოლოს დანაშაულს, რომლის თაობაზეც საგამოძიებო უწყებებში ყოველდღიურად შედის ათასობით განცხადებები თუ სატელეფონო შეტყობინებები (მათ შორის მასმედიაში გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს) შესაძლო დანაშაშაულის ჩადენის თაობაზე. ამ დროს საგამოძიებო ორგანოები ვალდებულნი არიან დაიწყონ გამოძიება. ჩაატარონ საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა შორისაც ყველაზე ხშირია ჩხრეკა და ამოღება.

მეორეს მხრივ, სახელმწიფო ცდილობს დაიცვას ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, განმტკიცებული შიდა კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებიებთ. გამომდინარე იქიდან, რომ ჩხრეკა და ამოღება პირდაპირ კავშირშია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებთან და მიმართულია პირადი ცხოვრების, კერძო საკუთრების და ა.შ. უფლებების შეზღუდვასთან, სახელმწიფომ უნდა შეძლოს დაიცვას ბალანსი: ერთის მხრივ შეასრულოს საზოგადოების დაკვეთა - ებრძოლოს დანაშაულს, მეორეს მხრივ - დაიცვას

დანაშაულის ჩადენის სუბიექტის (რომელიც რათქმაუნდა ყოველთვის ადამიანია) უფლებები, მითუმეტეს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, დარწმუნებით არც კი შეგვიძლია ვიმსჯელოთ პირის (რომელსაც ეზღუდება უფლებები) დამნაშავეობაზე, სანამ მის მიმართ არ დადგება კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი.

მესამეს მხრივ თემა აქტუალურია სამართლის არაზუსტი მეცნიერებიდან გამომდინარე. როგორც ბ.ნ ვენედი ბენიძე აცხადებს ,,ვერცერთი თანამედროვე და დიდი ტრადიციების მქონე ქვეყნის კანონმდებლობა ვერ გაითვალისწინებს წინასწარ ყველა იმ არაორდინალურ ქმედებას ცხოვრებაში, რომელiმაც შემდგომში შეიძლება მოითხოვოს სამართლებრივი მოწესრიგება, ვინაიდან საზოგადოებრივი ცხოვრების ფარგლები გაცილებით უფრო მრავალფეროვანია ვიდრე ნებისმიერი იურიდიული არეალი. ამიტომაც არ არსებობს არც ერთი ქვეყნის კანონმდებლობა ხარვეზების გარეშე.“ [1]

დასახული მიზნები - თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, ჩემს მიერ არჩეული ნაშრომის მიზანია: ჩხრეკა/ამოღებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის, სამეცნიერო ნაშრომების, პრეცენდენტული გადაწყვეტილებების, პრაქტიკისა თუ სასამართლო პრაქტიკის კვლევისა და სასამართლო სტატისტიკის გაანალიზების გზით გამოიკვეთოს თუ სად გადის ზღვარი საყოველთაოდ დაცულ უფლებებსა და ამ უფლებების შემზღუდველ საგამოძიებო მოქმედებებს (ჩხრეკა/ამოღება) შორის, ხომ არ არის კანონმდებლობაში ხარვეზები და რა პრობლემების წინაშე დგას ქართული პრაქტიკა.

ამოცანები - იმისათვის, რომ დასახული მიზნები რეალობად იქცეს, საჭიროა ამოცანების გადაჭრა, რაშიც დაგვეხმარება შემდეგი საკითხების დადგენა:

- ჩხრეკა/ამოღების არსის, მიზნისა და საფუძვლების გაანალიზება;
- ჩხრეკა/ამოღების წესების დადგენა;
- ჩხრეკა/ამოღების სახეების გამიჯვნა;

[1] რ. შენგელიას 70 წლისადმი მიძღვნილი სახელმძღვანელო, ვ. ბენიძე ,,სისხლის სამართლის კანონმდებლობა შემდგომ სრულყოფას მოითხოვს“, გვ.531-545, თბ. გამომც. ,,სამართალი“, 2012 , გვ.535-536

- ჩხრეკა/ამოღებასთან დაკავშირებული პრაქტიკის კვლევა;
- ჩხრეკა/ამოღებასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის გაანალიზება;
- ჩხრეკა /ამოღებასთან დაკავშირებული სასამართლო სტატისტიკის ანალიზი.

კვლევის მეთოდები - ზემოთაღნიშნული მიზნების მიღწევისა და ამოცანების განხორციელება შესაძლებელია სამართლებრივი ანალიზის, სტატისტიკური ანალიზითა და პრაქტიკის კვლევით.

თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

როგორც შესავალში ავღნიშნე, ჩემს მიერ განსახილველი თემა ეხება ისეთ საყოველთაოდ აღიარებულ ფასეულობებს, როგორიცაა: პირადი ცხოვრების, კერძო საკუთრების, მფლობელობისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობას, შესაბამისად გადავწყვიტე, საწყის ეტაპზე გავცნობოდი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის ფუნდამენტად გვევლინება. ასევე გავეცანი საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. კონვენციისა და საერთაშორისო პაქტის უკეთ გასააზრებლად მიზანშეწონილად მივიჩნიე გავცნობოდი სამეცნიერო სახელმძღვანელოებს. შესაბამისად მოვიძიე წიგნები: ადამიანის უფლებების შესახებ სისხლის სამართლის პროცესში და ადამიანის საერთაშორისო უფლებები. მოცემულ სახელმძღვანელოებში კარგად იყო განმარტებული ადამიანის საერთაშორისო და ამასთან ფუნდამენტური უფლებების: პირადი თავისუფლებისა თუ ხელშეუხებლობის ცნებები, ასევე გამონაკლისი შემთხვევები თუ როდისაა შესაძლებელი მათი შეზღუდვა.

შემდგომში გავეცანი საქართველოს კონსტიტუციას, როგორც იერარქიულად ყველაზე ზემდგომ კანონს, რომლიდანაც უნდა გამომდინარეობდეს ყველა სხვა

შიდა კანონი. მერე განვიხილე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რათა უფრო სიღრმისეული აღქმა მქონოდა ჩემი განსახილველი თემის შესახებ.

აღნიშნული კანონების გაცნობამ არა მხოლოდ გამიღრმავა ცოდნა, არამედ მომცა შესაძლებლობა შემედარებინა, თუ რამდენად შესაბამისობაშია იერარქიულად ქვემდგომი კანონი - ზემდგომთან.

მას შემდეგ, რაც გამოვიკვლიე ჩემთვის საჭირო კანონმდებლობა და გამიჩნდა კითხვები, გადავწყვიტე პასუხები მომეძიებინა სამეცნიერო კვლევებში. გავეცანი შ. ფაფიაშვილის სახელმძღვაელო - ,,კრიმინალისტიკა", II ტომს. მოვინიშნე რა ჩემთვის გამოსადეგი ინფორმაცია, გადავინაცვლე მომდევნო წიგნზე, რომლის სახელწოდებაა: საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, დათარიღებული 2013 წლით. აღნიშნული სახელმძღვანელო შედგენილია ავტორთა კოლექტივის მიერ, რაც ერთობ საინტერესო გამოდგა, რადგან ერთი წიგნის წაკითხვით გავიგებდი რამოდენიმე მეცნიერის (ავტორთა) ნააზრევს. ამ ლიტერატურიდან ამოკითხული ინფორმაცია, წარმატებით გამოვიყენე ჩემს ნაშრომში.

მოგვიანებით წავიკითხე სისხლის სამართლის პროცესის მე-5 გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, რომლის ავტორიც გახლავთ მ. ლომსაძე. ამ წიგნში საკმაოდ კომპაქტურად და ნათლად იყო ჩამოყალიბებული ჩემს მიერ გამოსაკვლევი თემა, განსაკუთრებით გამომადგა ჩხრეკისა და ამოღების საფუძვლების ნაწილში. შესადარებლად გავეცანი იმავე ავტორის ნაშრომის მე-7 გადამუშავებულ და შევსებულ გამოცემას.

რასაკვირველია, გავეცანი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 2015 წლის კომენტარებს. იგი შემუშავებული და შედგენილია ავტორთა კოლექტივის მიერ. აღნიშნული ნაშრომი საკმაოდ მრავალფეროვანი აღმოჩნდა, დატვირთული პრაქტიკული მაგალითებითა და განსხვავებული ხედვებით. ამოვიწერე ნაშრომისათვის გამოსადეგი ინფორმაცია გადავინაცვლე მომდევნო ლიტერატურაზე.

არ შეიძლებოდა არ გავცნობოდი გ. თუმანიშვილის პროცესის ზოგადი ნაწილის მიმოხილვას. აღნიშნული წიგნი საინტერესო იყო ჩხრეკისა და ამოღების წესების უკეთ აღქმისათვის - თუ როდის და რატომ შეიძლება გამოდგეს საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები დაუშვებლად.

სიამოვნებით გავეცანი ავტორთა კოლექტივის 2017 წლის სახელმძღვანელო ,,საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალს", ასევე 2018 წლით დათარიღებულ ,,საგამოძიებო სამართალს". ეს წიგნები, დახუნძლული ტერმინების განმარტებითა და პრაქტიკული მაგალითებით წარმატებით გამოვიყენე თემაში.

თემის საჭიროებიდან გამომდინარე მოვიძიე ენციკლოპედია. ასევე გავეცანი 2008 წლით დათარიღებულ, ავტორთა კოლექტივის ,,კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში". აღნიშნული ლიტერატურა დამეხმარა უკეთ წარმომეჩინა თუ ვის შეუძლია საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება.

წავიკითხე რ. შენგელიას 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, სადაც ვენედი ბენიძეს განხილული ჰქონდა სხვადასხვა საკანონმდებლო ხარვეზები. მოცემულმა ლიტერატურამ მიბიძგა მომეძიებინა სტატია, სადაც ბ-ნ ვენედი უფრო კონკრეტულად საუბრობს ჩემს მიერ გამოსაკვლევი თემის პრობლემაზე.

ძალიან გამომადგა საქართველოს იურიდიული ფორუმების ასოციაციის ,,სიფას" კვლევა და რეკომენდაციები, რომელიც ეხებოდა დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებების მოპოვებას. ნაშრომში ასევე გამოყენებულია ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის რეკომენდაციები.

ნაშრომში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გონივრული ვადის ასახსნელად, წარმატებით გამოვიყენე მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია SEPEJ-ის მიერ შედგენილი სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURNI-ს განახლებული სახელმძღვანელო მითითებები.

რასაკვირველია, იურისპრუდენცია არ არის ზუსტი მეცნიერება და შესაბამისად, ჩემი გამოსაკვლევი თემის გარშემოც, სამეცნიერო ნაშრომებში აღმოვაჩინე აზრთა სხვადასხვაობა, რამაც მიბიძგა შეძლებისდაგვარად გამერკვია თუ რა

მდგომარეობაა პრაქტიკაში. საწყის ეტაპზე მოვიძიე სასამართლოს მნიშვნელოვანი განჩინებები ჩხრეკა/ამოღებასთან დაკავშირებით.

სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე გავეცანი თბილისის სააპელაციო სასამართლოს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, რომლებიც შეეხებოდა პრაქტიკაში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტას, კერძოდ, ჩხრეკა/ამოღების მიზანთან, საფუძვლებთან და წესებთან დაკავშირებით. რათქმაუნდა მოვიშველიე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებებიც. აღნიშნულმა გადაწყვეტილებებმა ფუნდამენტური როლი ითამაშა ჩემს ნაშრომზე, თუმცა მეტი სრულყოფილებისათვის მიზანშეწონილად მივიჩნიე განცხადებით მიმემართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლოს სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის თავმჯდომარისთვის, საჯარო ინფორმაციის თაობაზე. განცხადებაში მოვითხოვე შემთხვევითი შერჩევის პრინციპით (მეტი ობიექტურობისათვის) შერჩეული 5 განჩინება ჩატარებული ჩხრეკის ან ამოღების დაკანონების დაკმაყოფილების თაობაზე და 5 განჩინება ჩატარებული ჩხრეკის ან ამოღების დაკანონების თაობაზე უარის თქმის შესახებ. გარდა განჩინებებისა რათქმაუნდა სასამართლოდან გამოვითხოვე სტატისტიკური მონაცემები ჩხრეკა-ამოღებასთან დაკავშირებით, 2017 წლიდან - დღემდე. პუნქტუალურად მივიღე რა გამოთხოვილი მასალა, გავეცანი, მოვახდინე სტატისტიკისა და გამოთხოვილი მასალის სინთეზური ანალიზი, მივედი საინტერესო დასკვნამდეც. მოცემულმა მასალებმა ნათლად დამანახა, რა პრობლემის წინაშე დგას ქართული პრაქტიკა.

ჩემს მიერ გამოტანილი დასკვნის გადასამოწმებლად ჩავატარე კვლევა: შს სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების საგამოძიებო ნაწილის 10 გამომძიებელს დავუსვი 2 ღია კითხვა და მივეცი 3 კაზუსი ამოსახსნელად. პასუხები საკმაოდ თემატურად რელევანტური გამოდგა.

თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი

2.1 ჩხრეკისა და ამოღების არსი, მიზანი და საფუძვლები.

ნებისმიერი ფორმით მოწოდებული ინფორმაცია, რომლის პირველწყაროც ცნობილია, შეიცავს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ნიშნებს, იწყება გამოძიება - შესაბამისად, ტარდება მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა შორისაც შესაძლოა შეგვხვდეს ჩხრეკა და ამოღება.

ჩხრეკა და ამოღება მოთავსებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XV თავში. კანონისმიერი განმარტების მიხედვით: ,,დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში ამოღება და ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილ და ამოღებულ იქნეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე

საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება, ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი“ ამასთან დამატებით ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს ,,ძებნილისა და გვამის აღმოსაჩენად.“[2]

დოქტრინალური განმარტების მიხედვით, ჩხრეკა და ამოღება არის იძულებითი ხასიათის ღონისძიებები, რომლის მიზანია მტკიცებულებათა მოპოვება. აღნიშნული განმარტება გვხვდება უამრავ სახელმძღვანელოში, მაგალითად, შ. ფაფიაშვილი თვლის, რომ ,,ჩხრეკა და ამოღება იძულებითი ხასიათის მიზანდასახული, რთული და მთელ რიგ შემთხვევებში პირველადი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებაა.“[3] მისივე თქმით ,,ჩხრეკისა და ამოღების მიზანია დანაშაულის იარაღების ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების, მატერიალური ფასეულობების, გადამალული საგნებისა და ობიექტების, ძებნაში მყოფი პირების, გვამების, გატაცებული ცოცხალი პირების, საქონლის, დანაშაულის ჩადენის იარაღების და საქმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა სახის ნივთების, საგნებისა და დოკუმენტების აღმოჩენა და ამოღება.“[4] თეა შაყულაშვილის განმარტებით: ,,ჩხრეკა და ამოღება პირის ნების საწინააღმდეგოდ განხორციელებული ისეთი საგამოძიებო მოქმედებებია, რომლებმაც ერთდროულად შეიძლება ხელყონ ბინის (სხვა კერძო მფლობელობის) პირადი ჩანაწერების, დღიურების, მიმოწერის, დოკუმენტების, პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტო და ვიდეომასალის და სხვა სახის პირადი საიდუმლოებანი.“[5] ნოდარ ერიაშვილი თვლის, რომ ეს საგამოძიებო მოქმედებები ,,წარმოადგენს რთულ და სპეციფიკურ ქმედებას, რომლის ერთ-ერთ დომინირებულ ელემენტს წარმოადგენს იძულება.“[6] იმავეს იზიარებს მ. მამნიაშვილი და სხვები, რომ ,,ამოღება და ჩხრეკა

---

[2] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი https://matsne.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

[3] შ. ფაფიაშვილი, ,,კრიმინალისტიკა“, ტომი II, თბ. გამომც. ,,მერიდიანი“, 2007, გვ. 282

[4] იქვე, 282-283

[5] თ. შაყულაშვილი, ,,ბინის (სხვა მფლობელობის) პირადი დოკუმენტების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა სისხლის სამართლის პროცესში“, ჟუ-ლი ,,მართლმსაჯულება და კანონი“, #2(37)13, გვ. 126-135, თბ. 2013, გვ. 132

[6] ნ. ერიაშვილი, ,,წინასწარი გამოძიების ფსიქოლოგიური თავისებურებები“, თბ. რედ: ს.ბარამიძე, მ. სულხანიშვილი, გამომც. ,,სამართლიანი საქართველო“, 2010 , გვ. 18-19

იძულებითი ხასიათის საგამოძიებო მოქმედებებია.“[7] მათ ნააზრევს უერთდება მ. ლომსაძეც: ,,ჩხრეკა და ამოღება საგამოძიებო მოქმედებებია და ატარებენ იძულების ღონისძიების ბუნებას.“[8] მსგავს აზრს გამოხატავს შ. ტრექსელიც: ,,ეს არის იძულების ყველაზე სერიოზული ღონისძიება, რომელიც ნებადართულია როგორ შიდასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო სისხლის საპროცესო სამართლით და ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტებით.“[9] თითოეული მათგანი იმპერატიულად აღნიშნავს ჩემს მიერ გამოსაკვლევი თემის იძულებით ბუნებას, რადგან ეს საგამოძიებო მოქმედებები დაკავშირებულია დანაშაულის გახსნის მიზნით, პირად ცხოვრებაში ჩარევასთან, ასევე კერძო საკუთრებასთან, მფლობელობასთან და თუნდაც მიმოწერის თავისუფლებასთან. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლის მიხედვით: ,,არავინ უნდა დაექვემდებაროს მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის შეუვალობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებურ ან უკანონო ჩარევას ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფას“[10] ეს უკანასკნელი უკეთაა გაშიფრული 1950 წლის 4 ნოემბერს მიღებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლში, სადაც ხაზგასმით არის მითითებული, რომ: ,,ყველას აქვს უფლება პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის

---

[7] მ. მამნიაშვილი და სხვები, ,, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი“, კერძო ნაწილი, მეორე გამოცემა, თბ., გამომც. ,,იურისტების სამყარო“, 2013, გვ. 47

[8] მ. ლომსაძე, ,,სისხლის სამართლის პროცესი“, თანდართული ტესტების ნიმუშებით, მეხუთე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბ. გამომც. ,,ბონა კაუზა“, 2015, გვ. 159

[9] შ. ტრექსელი, სარა ჯ. სამერსის დახმარებით, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ. სარედაქციო კოლეგია: კონსტანტინე ვარძელაშვილი და სხვები, მთარგმნ-ბი: ვანო გოგელია და სხვები, S. Trechsel 2005, გამომც. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან ერთად, 2010, გვ. 452

[10] საერთაშორისო პაქტი -სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ https://matsne.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

ინტერესებისთვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალისა თუ სხვათა უფლებათა დასაცავად."[11] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განმარტებით შესაძლოა არსებობდეს ჩხრეკის ჩატარების ყველა საფუძველი, მაგრამ ის არ იყოს მიმართული ლეგიტიმური მიზნის მიღწევისკენ, საქმე გვექნება პირადი ცხოვრების უფლების უხეშ შეზღუდვასთან.[12] მსგავს ფაქტებს ადგილი რომ არ ჰქონდეს ,,ადამიანის უფლებათა დაცვაზე მთლიანი პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოებს, ხოლო რეგიონული და საერთაშორისო უწყებები უბრალოდ ასრულებენ მეთვალყურის როლს."[13] შტეფან ტრექსელი კი მიიჩნევს, რომ ,,ადამიანის უფლებების სრულფასოვანი ანალიზი უნდა მოიცავდეს შიდასახელმწიფოებრივ პრეცენდენტულ სამართალსაც."[14] საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები შესაძლებელია შეიზღუდოს თუ სახეზე გვაქვს რამოდენიმე კრიტერიუმის ერთობლიობა: საზოგადოება უნდა იყოს დემოკრატიული, შეზღუდვის დასაშვებობა პირდაპირ უნდა იყოს კანონში გაწერილი და უნდა ემსახურებოდეს კანონით გათვალისწინებულ ლეგიტიმურ მიზანს, ამასთან მეცნიერთა ნაწილი ყურადღებას ამახვილებს პრეცენდენტული სამართლის როლზე, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ქმედებათა ცოცხლად ამსახველ ინსტიტუტზე.

ევროპული კონვენცია განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციით, რომლის მე-15 მუხლშიც მოცემულია არა მხოლოდ ამ უფლებების შეზღუდვის კრიტერიუმები, არამედ წესიც: ,,ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია ... სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ

---

[11] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია https://matsne.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

[12] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ,,ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში", თბ. ავტ.-ბი: ეკა ხუციშვილი, სოფო ვერძეული, 2012 , გვ. 34

[13] რონა კ.მ. სმიტი, ადამიანის საერთაშორისო უფლებები სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, რედ. გიორგი ჯოხაძე, მთარგმნ. მანანა კობიაშვილი, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ნიუ-იორკი 2005 , გვ.253

[14] შ. ტრექსელი სარა ჯ. სამერსის დახმარებით, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, სარედ. კოლეგია: კონსტანტინე ვარძელაშვილი და სხვები, მთარგმნ.: ვანო გოგელია და სხვები, first edition was originally published in English 2005, გვ.27

არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა."[15] რაც შეეხება ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, რათქმაუნდა, აქ კიდევ უფრო სიღრმისეულადაა საკითხი ჩამოყალიბებული, თუმცა კოდექსში შევხვდებით 112-ე მუხლს, რომლის ბოლო წინადადება ,,თანამესაკუთრის ან თანამფლობელის, ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა საკმარისია ამ ნაწილით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების სასამართლო განჩინების გარეშე ჩასატარებლად."[16] აღნიშნული ხასიათის ჩანაწერი, თითქოსდა გამონაკლის შემთხვევას ჰგავს, რაც ჩხრეკა/ამოღების აბსოლუტურ იძულებით ხასიათს გამორიცხავს. ამასთან, ისევ საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: ,,ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. არავის აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში, მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა."[17] შ. ფაფიაშვილი მიიჩნევს, რომ ერთ უხეირო საკანონმდებლო ფრაზას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია ხალხის, საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის.[18] სწორედაც, რომ ასეა, რადგან აღნიშნული ჩანაწერი ერთი შეხედვით გვეუბნება, რომ თუ მფლობელის თანხმობით ხდება ჩხრეკის ჩატარება, ეს არ ზღუდავს მის უფლებებს, და თუკი არ ზღუდავს - საჭიროც არ არის რაიმე სახის სამართლებრივი რეგულირება. ავტორთა კოლექტივის განმარტებით: ,,გამომძიებელმა საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე, პირს, ვისთანაც ატარებს საგამოძიებო მოქმედებას, უნდა განუმარტოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზნები, საფუძვლები, და მისი შედეგები. კერძოდ, გამომძიებელმა პირს უნდა აუხსნას, რომ საგამოძიებო მოქმედების მიზანია არა მხოლოდ ბინაში შესვლა, არამედ ბინიდან მტკიცებულების ამოღება. შესაბამისად,

[15] საქართველოს კონსტიტუცია https://matsne.gov.ge უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

[16] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი https://matsne.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

[17] საქართველოს კონსტიტუცია https://matsne.gov.ge ,უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

[18] შ. ფაფიაშვილი, ,,იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკის ზოგიერთი პრობლემა", თბ. გამომც. ,,მერიდიანი", 2008, გვ. 24

ბინის მესაკუთრემ თანხმობა უნდა განაცხადოს როგორც ბინაში გამომძიებლის შესვლაზე, ისე ბინიდან მტკიცებულების ამოღებაზე."[19]

რადიკალურად განსხვავებული პოზიცია აქვს ვ.ბენიძეს. მისი თქმით: ,,მსგავსი ლოგიკით, პირის თანხმობის შემთხვევაში აღარ იქნებოდა საჭირო მოსამართლის ნებართვა, ისეთი იძულებითი ხასიათის ღონისძიებებზე, როგორიც არის ქონებაზე ყადაღის დადება, თანამდებობიდან გადაყენება, გვამის ეგსჰუმაცია და ა.შ."[20] გარდა აღნიშნულისა, მიაჩნია, რომ ,,კონსტიტუციის ზემოდხსენებულ ნორმაში არსად არ არის მითითებული, რომ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას - მათ შორის ჩხრეკა, არ საჭიროებს თანამესაკუთრის ან თანამფლობელის თანხმობის შემთხვევაში სასამართლო კონტროლს და ასეთი საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის განჩინების გარეშე."[21] მსგავს აზრს იზიარებს ო. ჯორბენაძეც: ,,ახალმა (2009 წლის) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა დაადგინა ახალი წესი. გასაჩხრეკი პირის ან გასაჩხრეკი ობიექტის მესაკუთრის, მფლობელის ან/და ორგანიზაციის დაწესებულების წარმომადგენლის თანხმობა საკმარისია ჩხრეკის ან ამოღების ჩასატარებლად მოსამართლის განჩინების გარეშე (სსსკ-ის 112 მუხლის 1-ლი ნაწილის ბოლო წინადადება). მიგვაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაშიც სავალდებულოა მოსამართლისათვის მიმართვა ჩხრეკის ან ამოღების კანონიერების შემოწმების მიზნით წინასასამართლო გამოძიების ეტაპზე."[22]

აღნიშნულ მასალებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ჩხრეკა და ამოღება არის საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც ტარდება სისხლის სამართლის

---

[19] ავტორთა კოლექტივი, საქაართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., გამომც. ,,მერიდიანი", 2015, გვ. 371-372

[20] ვ. ბენიძე, ,,სისხლის სამართალი, საპროცესო კანონმდებლობის ერთი ხარვეზის შესახებ, თბ. ,,ცხოვრება და კანონი" საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟუ-ლი #3-4(35-36), 2016, გვ. 51-53, გვ.53

[21] ვ. ბენიძე, ,,სისხლის სამართალი, საპროცესო კანონმდებლობის ერთი ხარვეზის შესახებ, თბ. ,,ცხოვრება და კანონი" საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟუ-ლი #3-4(35-36), 2016, გვ. 51-53, გვ.51

[22] თბილისის სააპელაციო სასამართლო, განჩინება 1/ბ/1197, (2016-07-14) http://www.library.court.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

საქმეზე, მიუხედავად არაერთგვაროვანი შეხედულებისა, არის უალტერნატივოდ იძულებითი ხასიათის და მიმართულია მტკიცებულებათა მოპოვებისაკენ.

სისხლის სამართლის საქმეზე ჩასატარებელ ნებისმიერ საგამოძიებო ღონისძიებას სჭირდება საფუძველი. რათქმაუნდა გამონაკლისი არც ჩხრეკა/ამოღებაა. იგი ეყრდნობა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომლის განმარტებაც მოცემულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილში. კერძოდ: ,,ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენა.“[23] დასაბუთებული ვარაუდის შესახებ ავტორთა კოლექტივის განმარტება ასეთია: ,,ამოღების/ჩხრეკის ჩატარების საჭიროება არ შეიძლება დასტურდებოდეს მხოლოდ ოპერატიული/არასაპროცესო ინფორმაციით, უნდა არსებობდეს მტკიცებულებითი ხასიათის ინფორმაციაც [მაგ., გამოკითხვის ოქმი] და შუამდგომლობის ავტორმა უნდა ასაბუთოს ინფორმაციის სანდოობა. კერძოდ ოპერატიული ინფორმაციის სანდოობის დასადასტურებლად მხარემ შუამდგომლობაში უნდა დაასაბუთოს, რატომ არსებობს ინფორმატორის და ინფორმაციის მომპოვებლის ნდობის საფუძველი, საქმეში არსებული სხვა რა ფაქტი (ფაქტები) და ინფორმაცია ამყარებს ოპერატიულ ინფორმაციას და ა.შ.“[24] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მიიჩნევს, რომ ,,ჩხრეკის ჩატარებას წინ უნდა უძღოდეს პოლიციის მიერ განხორციელებული ყველა შესაძლო ღონისძიებები რათა გამოირიცხოს შეცდომა.“[25] მათივე თქმით ,,ჩხრეკა უნდა ჩატარდეს როგორც უკიდურესი ღონისძიება.“[26] მოცემული განმარტებები პირდაპირ მიგვითითებს ინფორმაციის ან ფაქტების ერთობლიობაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ

---

[23] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი https://matsne.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

[24] ლ. ფაფიაშვილი და სხვები, ,,საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი“ კერძო ნაწილი, თბ., გამომც. ,,მერიდიანი“, 2017 გვ. 440

[25] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ,,ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში“, თბ. ავტ.-ბი: ეკა ხუციშვილი, სოფო ვერძეული, 2012, გვ. 34

[26] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ,,ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში“, თბ. ავტ.-ბი: ეკა ხუციშვილი, სოფო ვერძეული, 2012, გვ. 34

მართალია ერთი კონკრეტული ინფორმაციის მიღების შესახებ დანაშაულის ნიშნების არსებობისას, საგამოძიებო ორგანოები იწყებენ გამოძიებას, მაგრამ ისინი არ უნდა გადავიდნენ პირდაპირ ჩხრეკა-ამოღებაზე, რადგან ერთი ინფორმაცია არ არის ინფორმაციათა ერთობლიობა. მათ უნდა ჩაატარონ სხვა საგამოძიებო მოქმედებები, მინიმუმ გამოკითხვა (თუკი არ გვაქვს გადაუდებელი აუცილებლობა) და ინფორმაციის სავარაუდო იდენტობის საფუძველზე, როცა უკვე გვექნება ერთობლიობა, იფიქრონ სხვა იძულებითი ღონისძიებების ჩატარებაზე. ასე შეძლებენ კანონის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას და ექსცესებისაგან თავის დაცვას.

გარდა დასაბუთებული ვარაუდისა ჩხრეკასაც და ამოღებასაც სჭირდება დამატებითი სტანდარტები, რომელსაც განვიხილავთ შემდგომ ქვეთავებში.

2.1.1. ჩხრეკის საფუძველი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სპეციალური - 119-ე მუხლია ჩხრეკისა და ამოღების საფუძვლებთან დაკავშირებით, სადაც გარდა ზემოთ განმარტებული დასაბუთებული ვარაუდისა, მოცემულია დამატებითი პირობები. კერძოდ, ,,ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მის აღმოსაჩენად საჭიროა ძებნა.“[27]

მოცემული განმარტების უკეთ აღსაქმელად მოვიყვანოთ მაგალითები:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური აწარმოებდა რა გამოძიებას სხვადასხვა მეწარმე სუბიექტების მიერ სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაზიანების ფაქტზე, შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას საწარმოებში ჩხრეკის ჩატარების ნებართვის გაცემის თაობაზე. შუამდგომლობაში წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარე სახეზე იყო მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდი. საგამოძიებო ორგანოს არ მიუთითებია, თუ რატომ იყო საწარმოს დოკუმენტების ძებნა აჭირო, რომელიც, როგორც წესი აღნიშნული საწარმოს ბუღალტერიაში,

[27] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი https://matsne.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

ბუღალტერთან ინახება ხოლმე. შესაბამისად სასამართლოს არც ერთმა ინსტანციამ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა.[28]

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური აწარმოებდა სისხლის სამართლის საქმეს მითვისების ფაქტზე. საქმესთან დაკავშირებით სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების ჩატარების მოტივით, გამომძიებელმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს გ.მ.-ს საცხოვრებელ ბინებში ჩხრეკის ჩატარების ნებართვის გაცემის თაობაზე. პირველმა ინსტანციამ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და გასცა ნებართვა გ.მ.-ს ორივე საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის თაობაზე. აღნიშნული გაასაჩივრა რა გ.მ.-მ, მიუთითა, რომ განჩინებაში დაფიქსირებული ერთ-ერთი საცხოვრებელი ბინა არ არის მისი კუთვნილება და არც არასოდეს ყოფილა და მოითხოვა მთლიანად განჩინების გაუქმება. თბილისის სააპელაციო სასამართლომ განიხილა რა საქმის მასალები, საჩივარი დააკმაყოფილა ნაწილობრივ, რადგან საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა არც ერთი მტკიცებულება, თუ ვის ეკუთვნოდა საცხოვრებელი ბინა.[29]

მოცემული მაგალითიდან გამომდინარე გარდა დასაბუთებული ვარაუდისა საჭიროა სამი კრიტერიუმის ერთდროულად არსებობა:

1. ვისთან (პირის იდენტიფიკაცია) ინახება გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულება;
2. რა მისამართზე ინახება გამოძიებისთვის საჭირო მტკიცებულება;
3. ძებნის საჭიროება.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ ჩხრეკის ფორმალურ და სამართლებრივ საფუძვლებს.

ჩხრეკის სამართლებრივი საფუძველია, სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმები: დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, სად და ვისთან ინახება საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულება და ძებნის საჭიროება.

---

[28]თბილისის სააპელაციო სასამართლო, განჩინება 1/გ-132 (2015-02-10)გვ.1-4 http://www.library.court.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

[29] თბილისის სააპელაციო სასამართლო, განჩინება 1/გ-218 ((2013-04-18) გვ.1-3 http://www.library.court.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

ჩხრეკის ფორმალურ საფუძვლებში იგულისხმება საპროცესო ფორმის დაცვა. იგი სავალდებულო ხასიათისაა, რადგან ზედმიწევნით დაცული ფორმალური საკითხები დამცავი ბერკეტია პროცესის მონაწილეთა მხრიდან თვითნებური ქმედობისა. ამასთან იგი გარანტიაა დანაშაულის როგორც გახსნის, ისე ბრალდებულის გამოვლენისა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ფორმალური საფუძვლებია:

1. უფლებამოსილი პირის მიერ შუამდგომლობის შეტანა სასამართლოში;
2. შეტანილია თუ არა შუამდგომლობა განსჯად სასამართლოში;
3. გამართულია თუ არა შუამდგომლობა (თარიღი, ხელმოწერა, თანდართული მასალები და ა.შ).

2.1.2. ამოღების საფუძველი.

რაც შეეხება ამოღების დამატებით კრიტერიუმებს, მოცემულია სისხლის სამართის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის მე-3 ნაწილში. გარდა დასაბუთებული ვარაუდისა აუცილებელია ,,რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მისი ძებნა საჭირო არ არის“.[30]

მოცემული განმარტების უკეთ აღსაქმელად მოვიყვანოთ მაგალითები:

- თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს განყოფილებაში აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, კვალიფიცირებული 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. დაცვის მხარემ მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით სადაც უთითებდა, მხოლოდ ამოსაღები ობიექტის ადგილსამყოფელს და რომ ეს ობიექტი მნიშვნელოვანი მტკიცებულება იყო. შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ არცოდნა იმისა თუ ვისთან ინახებოდა, ანუ ვინ იყო პასუხისმგებელი ამოსაღებ ობიექტზე.[31]

---

[30] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი https://matsne.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

[31] თბილისის საქალაქო სასამართლო, ე. კულულაშვილი, განჩინება # ------18 , 21.02.2018

მაშასადამე, როგორც ჩხრეკისას ისე ამოღებისას მნიშვნელოვანია კრიტერიუმების ერთობლიობა. კერძოდ:

1. ვისთან ინახება გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულება/ვინ არის პასუხისმგებელი პირი ამოსაღებ ნივთზე;
2. ამოსაღები ნივთის ზუსტი ადგილმდებარეობა;[32]
3. თავად ამოსაღები ნივთის ნიშან-თვისებების ცოდნა.

შესაძლოა სამივე კრიტერიუმი სახეზე იყოს მაგრამ შუამდგომლობა ამოღების მოთხოვნის შესახებ სასამართლომ მაინც არ დააკმაყოფილოს,

- მაგალითად: ,,ა"-მ 2018 წლის 18 თებერვალს, ქ. თბილისში, ღამით, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, დაუდგენელი საგნით გულმკერდის არეში მიაყენა ჭრილობა ,,ბ"-ს, რომელიც გარდაიცვალა. ამასთან იგი დაეუფლა 450 ლარად ღირებულ მაცივარ ,,ბეკოს" და დაქირავებული ტაქსის მეშვეობით წაიღო ლომბარდში, სადაც ჩააბარა 150 ლარად. საქართველოს შს. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს პირველი განყოფილებამ დაიწყო გამოძიება სსკ-ის 108-ე მუხლით და სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტით. მათ იმავე დღეს დანიშნეს სამედიცინო ექსპერტიზა - გვამიდან აიღეს სისხლის, თმის და ფრჩხილის ნიმუშები, ანაწმენდები, ასევე პირის ღრუდან და უკანა ტანიდან - ნაცხის ნიმუშები. აღნიშნული ობიექტები გადაიგზავნა ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტში. მოგვიანებით გამოძიებამ მიზანშეწონილად მიიჩნია ბიოლოგიური და სხვა ექსპერტიზების ჩატარება, ამიტომ პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტიდან, მდებარე მის: ....-დან ნიმუშების ამოღების თაობაზე სხვა ექსპერტიზების ჩატარების მიზნით. შუამდგომლობაში მითითებული იყო ამოსაღები ნივთების ზუსტი ნიშან-თვისებებიც, ზუსტი ადგილმდებარეობაც და

[32] შენიშვნა: ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან გამომდინარე, გამონაკლისია, როცა ოფისიდან ხდება დოკუმენტაციის ამოღება, ამ დროს საკმარისია ბუღალტერიის ზუსტი მისამართის ცოდნა და ვინ არის ამ დაწესებულების ბუღალტერი. ასეთ დროს ძებნაც რომ მოგიწიოს კონკრეტული დოკუმენტის, მაინც დგება ამოღების ოქმი.

პასუხისმგებელი პირიც, მაგრამ შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, რადგან შუამდგომლობაში მოთხოვნილი ობიექტები გადაგზავნილი იყო თავად ბრალდების მხარის მიერ, ,,რეალურად ამ შემთხვევაში ამოსაღები ობიექტი გამოძიების ხელთაა, მოპოვებული აქვს მას, ექსპერტი კი ვალდებულია, ჩაატაროს ექსპერტიზა, გასცეს დასკვნა და საკვლევად წარდგენილი დარჩენილი ობიექტი უკან დაუბრუნოს გამოძიებას."[33]

აღნიშნული მაგალითიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ გარდა ზემოდხსენებული სამი კრიტერიუმისა გამოძიებამ უნდა გამიჯნოს ობიექტი რომლის ამოღებაც სურს მხარეს და გაარკვიოს, პროცესის რომელ მხარესთან (ბრალდების თუ დაცვის) ინახება იგი.

ამოღების ფორმალური საფუძვლებია:

1. სასამართლოს განჩინება ამოღების ჩატარების შესახებ;
2. პროკურორის ან გამომძიებლის დადგენილება, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ამოღების ჩატარების თაობაზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ საგამოძიებო ორგანომ ჩაატაროს ჩხრეკა/ამოღება, აუცილებელია როგორც სამართლებრივი ისე ფორმალური საფუძვლების ერთობლიობა.

ფორმალური საფუძვლების ერთობლიობა არის კანონით პირდაპირ და ზედმიწევნით დაკომპლექტებული წესები, რომელთა დაცვაც სავალდებულოა ამ საგამოძიებო მოქმედებების მიზნის მისაღწევად და პროცესის მონაწილე პირთა მხრიდან თვითნებური ქმედობის თავიდან ასაცილებლად.

ჩხრეკა/ამოღების წესების დაცვა იმდენად ფუნდამენტურ როლს ასრულებს პრაქტიკაში, რომ მიზანშეწონილია მისი ცალკე თავად გამოყოფა.

[33] თბილისის საქალაქო სასამართლო, მოსამართლე გ. კერატიშვილი, განჩინება 11ა/--------, 27.02.2018

2.2. ჩხრეკისა და ამოღების წესი.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2009 წელი) დამყარებულია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, რაც თავის თავში მოიაზრებს, რომ მხარეებს ერთნაირი შესაძლებლობები გააჩნიათ მტკიცებულებათა მოპოვების თვალსაზრისით, მაგრამ ჩხრეკა და ამოღება არის საგამოძიებო მოქმედებები, რომელთაც ახორციელებს მხოლოდ ბრალდების მხარე. მართალია შუამდგომლობის დაყენება ჩხრეკა-ამოღებაზე განჩინების გაცემის თაობაზე ორივე მხარეს შეუძლია, მაგრამ უშუალოდ ამ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას ახორციელებს მხოლოდ გამომძიებელი ან/და პროკურორი. პროკურორი ლათინური სიტყვაა (prokurator) და ნიშნავს მზრუნველს.[34] მისი ერთ-ერთი საზრუნავია დანაშაულის გასახსნელად საჭირო ღონისძიებების ჩატარება და წინასასამართლო გამოძიებაზე კონტროლი. რაც შეეხება გამომძიებელს, მას ხშირად აიგივებენ პოლიციასთან, რაც არასწორია. პოლიცია არის შს სამინისტროს სტრუქტურის შემადგენლობაში შემავალი ერთ-ერთი დეპარტამენტი. გამომძიებელი კი შს საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი ნებისმიერი განყოფილების საგამოძიებო ნაწილის წარმომადგენელი, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს გამოძიება და საგამოძიებო მოქმედებები.[35] მაშასადამე, გარდა ამ ორი თანამდებობის პირისა, არავის არ აქვს უფლება ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის არც ჩხრეკა/ამოღება. აქ არუნდა აგვერიოს სსსკ-ის 121-ე მუხლის მე-3 ნაწილში ჩაწერილი ფრაზა ,,დამკავებელი ფიზიკური პირი

[34] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია 8, პედაგოგი-სამეული, თბ. მთავარი რედ.: ირ. აბაშიძე, გამომც. ,,მთავარი სამეცნიერო რედაქცია", 1984, გვ. 201

[35] თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, ,,კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში", თბ. სამეცნიერო რედ.: გ. ღლონტი, სარედ. კოლეგია: ო. გამყრელიძე და სხვები, 2008, გვ. 440-442

უფლებამოსილია განაიარაღოს დაკავებული“ [36] იმ უფლებებისგან რაც გააჩნიათ პროკურორსა თუ გამომძიებელს.

- მაგალითად: ფიზიკური პირი აღმოჩნდა ისეთ სიტუაციაში, რომ მის ან სხვის სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე და ამ ფიზიკურ პირს შესწევს ეს უნარი გაუმკლავდეს საფრთხის წარმომქმნელს, განაიარაღოს და დააკავოს, მან ეს უნდა გააკეთოს. სწორედ კოდექსში აღნიშნული ჩანაწერი იძლევა ამის საშუალებას. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მას შეუძლია ჩაატაროს პირადი ჩხრეკა ან რომელიმე სხვა საგამოძიებო მოქმედება. საფრთხის აღმოფხვრისთანავე იგი უნდა დაუკავშირდეს სამართალდამცავ ორგანოებს შემდგომი რეაგირებისათვის.

მნიშვნელოვანია, რომ ჩხრეკა და ამოღება ჩატარდეს დღის საათებში და გონივრულ ვადაში. დღის საათებს თავად საპროცესო კანონმდებლობა გვიდგენს ,,22:00-06:00“ საათამდე. ე.ი. შესაბამისად დანარჩენი დრო ეკუთვნის დღეს. თუმცა შესაძლოა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდეს ღამითაც, თუკი სახეზე გვექნება გადაუდებელი აუცილებლობა. რაც შეეხება გონივრულ ვადას, თავად კონკრეტული გამომძიებელი განსაზღვრავს კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების დროს, მოსაძებნი თუ ამოსაღები ნივთის რაოდენობის, ზომის და საძებნი სივრცის გათვალისწინებით, თუმცა ეს არ უნდა გაგრძელდეს განუსაზღვრელი ვადით. [37]

ყოვლად დაუშვებელია ერთი და იმავე განჩინების საფუძველზე ჩხრეკა ან ამოღება ჩატარდეს იგივე ობიექტზე,

- მაგალითად: როდესაც ,,დასრულდება ჩხრეკა და გამომძიებელი დატოვებს ჩხრეკის ადგილს, ცოტა ხანში უკან დაბრუნდება ჩხრეკის დასრულების ან გაგრძელებისათვის, გაახსენდება, რომ დაავიწყდა ერთ-ერთი სათავსოს შემოწმება, კონკრეტული საგნის ამოღება და ა.შ. ანალოგიურად, თუ წარუმატებელი ჩხრეკის შემდეგ, გამომძიებელი ტოვებს ობიექტს, იგივე

[36] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი https://matsne.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

[37] ვ. მაჭარაშვილი, ,,მხარეთა მიერ საგამოძიებო მოქმედების წარმოება სისხლის სამართლის პროცესში“, ჟუ-ლი: ,,მართლმსაჯულება და კანონი“, #3(55)17, გვ. 128-132, თბ. 2017 , გვ. 130

ობიექტზე ჩხრეკის წარმოების გაგრძელების მიზნით დაბრუნებისათვის მას სჭირდება ახალი განჩინება.[38]

ჩხრეკა/ამოღების წესების უკეთ აღსაქმელად, შესაძლებელია პირობითად დაიყოს: სასამართლოს განჩინებით ჩატარებულ და სასამართლოს განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობისას პროკურორის ან გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე.

2.2.1 ჩხრეკა/ამოღების ჩატარების წესი სასამართლოს განჩინებით.

ჩხრეკა/ამოღება შეიძლება ჩაატაროს გამომძიებელმა ან პროკურორმა. როდესაც არსებობს ჩხრეკის სამართლებრივი საფუძვლები, პროკურორი მიმართავს შუამდგომლობით იმ სასამართლოს რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს ჩხრეკა ან ამოღება. შუამდგომლობაში აუცილებლად უნდა იყოს დაფიქსირებული:

- შუამდგომლობის წარმდგენი პირის უშუალო თანამდებობა;
- რა საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება (მოკლე ფაბულა);
- რა საგამოძიებო მოქმედებები განხორციელდა ჩხრეკის/ამოღების მოთხოვნის ჩატარებამდე (არსებობის შემთხვევაში);
- კონკრეტულად სად და ვისთან არის ჩხრეკა/ამოღება ჩასატარებელი;
- რატომ არის ჩხრეკა/ამოღება ჩასატარებელი, ანუ უნდა დასაბუთდეს საქმესთან კავშირი და ძებნის საჭიროობა; ამოღების შემთხვევაში უნდა მიეთითოს კონკრეტული ადგილსამყოფელი;
- ხელმოწერა.

შუამდგომლობას უნდა ერთვოდეს საქმის მასალები. სასამართლომ შესული შუამდგომლობა უნდა განიხილოს 24 საათის განმავლობაში. ძირითადად წარმოდგენილი შუამდგომლობა განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე, თუმცა შესაძლებელია მისი განხილვა ზეპირი მოსმენითაც, კანონით დადგენილი წესით. ასეთ დროს მნიშვნელობა ენიჭება შუამდგომლობა დაყენებულია ჩხრეკის

[38] ლ. ფაფიაშვილი, ,,საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი“ კერძო ნაწილი, თბ. გამომც. ,,მერიდიანი“, 2017, გვ. 463

ჩატარების ნებართვის თაობაზე თუ პირიქით, უკვე ჩატარებული ჩხრეკის დაკანონების თაობაზე. პირველ შემთხვევაში ზეპირი მოსმენით განხილვისას, პროცესს ესწრება მხოლოდ შუამდგომლობის ავტორი, რადგან მეორე მხარის შეტყობინების შემთხვევაში შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედების თაობაზე კარგავს თავის აზრს (სადაც/ვისთანაც უნდა ჩატარდეს ჩხრეკა/ამოღება, აუცილებლად გადამალავს საძიებო მტკიცებულებას), მეორე შემთხვევაში კი - ორივე მხარე. ,,რომლის არსი იმაში მდგომარეობს რომ:

ა) მოსამართლე ხსნის სასამართლო სხდომას და აცხადებს რა შუამდგომლობა განიხილება, ასახელებს პროცესის მონაწილეებს და არკვევს, არის თუ არა აცილებები;

ბ) ამის შემდეგ შუამდგომლობის ავტორი ასაბუთებს თავის შუამდგომლობას;

გ) შუამდგომლობის დასაბუთების შემდეგ, სიტყვა ეძლევა მეორე მხარეს;

დ) რის შემდეგაც მხარეები უფლებამოსილნი არიან ერთმანეთს დაუსვან შეკითხვები.

აღსანიშნავია, რომ მხარეთა გამოუცხადებლობა არ იწვევს შუამდგომლობის განხილვის გადადებას. განხილვის შედეგებიდან გამომდინარე კი სასამართლოს გამოაქვს განჩინება.“[39]

კანონმდებლობის მიხედვით, განხილულ შუამდგომლობაზე, შეიძლება მხოლოდ ორი სახის განჩინების მიღება:

- საპროცესო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემა;
- საპროცესო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემაზე უარის თქმა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით: ,,სასამართლოს განჩინებაში აღნიშნული უნდა იყოს: მისი შედგენის თარიღი და ადილი; მოსამართლის გვარი; პირი, რომელმაც მას შუამდგომლობით მიმართა; განკარგულება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, იმის ზუსტი მითითებით თუ რა არის მისი არსი და ვისზე ვრცელდება ის; პირი

[39] ჯ. გახოკიძე და სხვები, ,,საგამოძიებო სამართალი“, წიგნი პირველი, თბ. გამომც. ,,იურისტების სამყარო“, 2018, გვ. 279

ან ორგანო, რომელმაც უნდა შეასრულოს განჩინება; მოსამართლის ხელმოწერა.“[40] გარდა ამისა ჩხრეკის განჩინებაში უნდა მიეთითოს ,,ის უძრავ-მოძრავი ქონება სადაც ნებადართულია საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, და ის ფიზიკური ან იურიდიული პირი რომელიც მას ფლობს (თუ მისი ვინაობა ცნობილია); ფიზიკური პირი, რომლის პირადი ჩხრეკაც უნდა ჩატარდეს; ჩხრეკის ან ამოღების დროს აღმოსაჩენი და ამოსაღები სავარაუდო საგანი, ნივთი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი და მისი გვარეობითი ნიშნები; წინააღმდეგობის გაწევისას იძულების პროპორციული ზომის გამოყენების უფლება. ჩხრეკის ან ამოღების განჩინება ძალადაკარგულია თუ ეს საგამოძიებო მოქმედება არ დაწყებულა 30 დღის განმავლობაში.”[41] ბოლო წინადადება საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან, როგორც ავტორთა კოლექტივი განმარტავს: ,,განჩინება უნდა აღსრულდეს მისი გამოცემიდან მცირე დროში, ვინაიდან დასაბუთებული ვარაუდი შესაძლებელია გაქრეს თუ ზედმეტად ხანგრზლივი დრო იქნება გასული განჩინების გამოცემასა და აღსრულებას შორის.“[42] შეიძლება ითქვას, რომ განჩინების მოქმედების 30 დღიანი ვადა არის გონივრული, გათვალისწინებული დიდი, მასშტაბური ჩხრეკის საწარმოებლადაც. იმავე ავტორთა კოლექტივი მიიჩნევს, რომ ,,30 დღიანი შეზღუდვის დაწესების მიზანია ისეთი განჩინებების აღსრულების პრევენცია, რომლებიც შეიძლება ემყარებოდეს ფაქტებს, ან საერთოდ აღარ არსებობს ან შეცვლილია აღსრულების მომენტისათვის.“[43]

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ არ გასცა ნებართვა, საპროცესო მოქმედების ჩატარების თაობაზე, განჩინების აღსრულებიდან 48 საათის განმავლობაში პროკურორს შეუძლია ერთჯერადად გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. საჩივარი შეიტანება განჩინების გამომტან სასამართლოში, ხოლო თუკი გასცა ნებართვა, საპროცესო მოქმედების ჩატარების თაობაზე, მაშინ

---

[40] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი https://matsne.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

[41] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი https://matsne.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

[42] ლ. ფაფიაშვილი და სხვები, საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, თბ. გამომც. ,,მერიდიანი“, თბ. 2017, გვ. 447

[43] იქვე, გვ. 447

უკვე გამომძიებელს უფლება აქვს მივიდეს განჩინებაში მითითებულ ობიექტზე და ჩაატაროს ჩხრეკა.

ჩხრეკის დაწყების წინ გამომძიებელი, ვალდებულებიდან გამომდინარე განჩინებას აცნობს პირს, ვის კუთვნილ ობიექტზეც უნდა ჩატარდეს ჩხრეკა, რაც უნდა დადასტურდეს ჩხრეკის ოქმში ხელმოწერით, უარის შემთხვევაში გამომძიებელი აკეთებს ოქმზე აღნიშვნას და თავად აწერს ხელს.

გამომძიებელი სანამ უშუალოდ გადავა ობიექტის ჩხრეკაზე, საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს განუმარტავს უფლება-მოვალეობებს, (მათ შორის პირად ცხოვრებას მიკუთვნებული ინფორმაციის გაუმჟღავნებლობაზე ნებართვის გარეშე) და ჩასატარებელი ღონისძიების წესებს. იგი ვალდებულია ჩხრეკის ჩატარებამდე შესთავაზოს პირს საძიებო საგნის, ნივთის, ნივთიერების ნებაყოფლობით წარდგენა, ვისთანაც უნდა ჩატარდეს ჩხრეკა. ნებისმიერ შემთხვევაში ჩხრეკის ოქმში კეთდება აღნიშვნა ან ნებაყოფლობით ნივთის წარმოდგენაზე, ან ნებაყოფლობით ნივთის წარმოდგენაზე უარის თქმის შესახებ. ნივთის წარმოდგენის შემთხვევაში, თუკი გამომძიებელს არ ექნება გონივრული ეჭვი, რომ მას სრულად იქნა წარმოდგენილი მტკიცებულება, უნდა დაასრულოს საგამოძიებო მოქმედება, მაგრამ გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედება ტარდება ჩვეულებრივ.

გამომძიებელს საჭიროებიდან გამომდინარე შეუძლია გასაჩხრეკ ობიექტზე მყოფ პირებს აუკრძალოს ტერიტორიის დატოვება, ერთმანეთთან ან სხვა გარეშე პირებთან კომუნიკაცია, ჩხრეკის დასრულებამდე. აღნიშნული პრეღონისძიებების შემდეგ, გამომძიებელი უშუალოდ გადადის ობიექტის (ბინა, მანქანა, საცავი, სადგომი და ა.შ) ჩხრეკაზე განჩინებაში მითითებული საძიებო ნივთის აღმოჩენის და ამოღების მიზნით. იმ შემთხვევაში თუ ჩხრეკისას გამომძიებელმა აღმოაჩინა ისეთი საგანი, ნივთი, ნივთიერება ან დოკუმენტი, რომელიც განჩინებაში არ არის მითითებული, თუმცა შესაძლოა საქმისათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობა ჰქონდეს ან პირდაპირ მიუთითებდეს სხვა დანაშაულის არსებობაზე, აუცილებლად უნდა ამოიღოს.

- მაგალითად, გამომძიებელი აწარმოებს X სისხლის სამართლის საქმეს, აქვს სასამართლოს განჩინება, ,,ა“ პირის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის თაობაზე, მიდის ობიექტზე და ჩხრეკისას აღმოაჩინა არა მხოლოდ საძიებო ნივთი, რაც განჩინებაში იყო მითითებული, არამედ იარაღი და სისხლიანი ტანსაცმელი. თუმცა განჩინებაში ეწერა, რომ ბინაში ჩხრეკის ჩატარება ესაჭიროებოდა ,,მოპარული ნივთების“ აღმოსაჩენად. ასეთ დროს გამომძიებელმა უნდა ამოიღოს და დალუქოს, არა მხოლოდ განჩინებაში მითითებული მოპარული ნივთები, არამედ იარაღიც და სისხლიანი ტანსაცმელიც.

მას შემდეგ რაც გამომძიებელი აღმოაჩენს გასაჩხრეკ ობიექტზე, საქმისათვის მნიშვნელოვან მტკიცებულებას, კანონის მოთხოვნათა დაცვით დეტალურად უნდა აღწეროს, აჩვენოს ჩხრეკის ობიექტზე დამსწრე პირებს (რომლებიც შემდგომ ოქმში ხელმოწერით დაადასტურებენ), დაილუქოს და თუ შესაძლებლობაა შეიფუთოს. ამოღებულ ნივთზე აუცილებელია ხელმოწერები საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირების მიერ და თარიღი.

ჩხრეკის ოქმში ჩატარებული მოქმედება მაქსიმალურად დეტალურად და ზედმიწევნით უნდა იყოს აღწერილი, მაგ.:

- ოქმის შედგენის დრო და ადგილი;
- ოქმის შემდგენელი პირის ვინაობა, სტატუსით;
- საგამოძიებო მოქმედების დაწყებისა და დამთავრების დრო, დაუშვებელია საათის დამრგვალება, უნდა მიეთითოს ზუსტი დრო (მაგ.: 12:59);
- საგამოძიებო ღონისძიების ჩატარების საფუძველი;
- ჩხრეკა/ამოღებაში მონაწილე პირები;
- აღნიშვნა უფლება/მოვალეობების გამნარტების თაობაზე;
- შეთავაზება ნივთის ნებაყოფლობით წარდგენაზე, შედეგის აღნიშვნა და ხელმოწერა;
- აღნიშვნა უნდა გაკეთდეს ტექნიკის გამოყენების თაობაზე, დადებითი აღნიშვნის შემთხვევაში მითითება რა ტექნიკა იქნა გამოყენებული;

- ამოღებული ნივთებისა თუ ნივთიერებების დეტალური აღწერა: გვაროვნული, ინდივიდუალური, რაოდენობრივი, მასობრივი (წონის მითითება), საბაზრო ღირებულების მითითება (ექსპერტის დახმარებით);
- ამოღებული ნივთების/ნივთიერების შეფუთვა (თუკი შეფუთვა შესაძლებელია, დალუქვა და მონაწილე პირების ხელმოწერები;

საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ოქმის დეტალური აღწერის სავალდებულოობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ობიექტური პირი, რომელიც გაეცნობა ოქმს, ნათლად წარმოიდგინოს სურათი და სხვა ასეთი მტკიცებულებათა ერთობლიობისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე შეძლოს მივიდეს კონკრეტულ დასკვნამდე. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ თუკი ჩხრეკის ოქმს ახლავს რაიმე სახის ვიზუალური მტკიცებულება, ფოტო, ვიდეო თუ აუდიო მასალა, თანხვედრაში იყოს ჩხრეკის ოქმთან, რათა ეჭვქვეშ არ დადგეს მისი სანდოობა. მაგალითად: ჩხრეკის დროდ მითითებულია 13:55 სთ. ჩხრეკის ოქმის თანდართულ ფოტო მასალაში ნათლად ჩანს რომ გარეთ ღამეა, ამასთან პირი ვისთანაც ჩატარდა ჩხრეკა აცხადებს, რომ სასამართლოს განჩინებით საგამოძიებო ორგანოებმა ჩხრეკა ჩაატარეს 22:55სთ-ზე. აღნიშნული მტკიცებულებათა ერთობლიობა ეჭვქვეშ აყენებს ჩხრეკის ოქმის სანდოობას, ხოლო როცა ჩხრეკის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება ეჭვს იწვევს, ის დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი ე.წ. in dubio pro reo (ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ) პრინციპიდან გამომდინარე.[44]

საყურადღებოა ფაქტი, როდესაც სასამართლო გასცემს განჩინებას ჩხრეკის ჩატარების თაობაზე და ამ დროს ჩხრეკა ჩატარდება საპროცესო კანონმდებლობის არსებითი დარღვევით. ომარ ჯორბენაძის განმარტებით: ,,ამა თუ იმ მოქმედების განხორციელებისას კანონის მოთხოვნათა დაცვაზე სასამართლო კონტროლი ხორციელდება არა მარტო წინასასამართლო გამოძიების ეტაპზე, არამედ წინასასამართლო განხილვისასაც და სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის ეტაპზეც, რა დროსაც სასამართლო სრული მოცულობით იღებს გადაწყვეტილებას

[44] საქარტველოს კონსტიტუცია https://matsne.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

ყველა, მათ შორის ჩხრეკის ან/და ამოღების კანონიერების საკითხზეც."[45] აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ წინასაგამოძიებო მოქმედებებზე მიღებული განჩინებების გადამოწმება შესაძლებელია პროცესის ნებისმიერ ეტაპზე.

რაც შეეხება ჩხრეკა/ამოღების წესს სასამართლოს განჩინებით, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, მას არეგულირებს სისხლის სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილი, რომლის მიხედვითაც დაცვის მხარესაც გააჩნია უფლება დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ჩხრეკა/ამოღების ჩატარება, რომელსაც განახორციელებს ბრალდების მხარე - პროკურორი/გამომძიებელი (არა იმ კონკრეტულ საქმეში მონაწილე მხარე), თუმცა ,,ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის პირველადი გამოკვლევის უფლება აქვს ბრალდების მხარეს." ია ჩხეიძის აზრით: ბრალდებულსა და მის დამცველს საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და წარდგენის სრული შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, ელემენტარული Facultas probarionum non est angustand (სიტყვასიტყვით: მტკიცებულებათა წარმოდგენა არ უნდა შეიზღუდოს) – გამომდინარე.[46] მაგრამ კანონმდებლობაში მოცემული ჩანაწერი ნამდვილად ვერ იძლეოდა დაცვის მხარის თანაბარ პირობებსა და შესაძლებლობებს, რამაც გამოიწვია ჩანაწერის გასაჩივრება კონსტიტუციური სარჩელით, იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ მხარეს არ აქვს უფლება მის მიერ დაყენებულ შუამდგომლობაზე თავად გამოიკვლიოს სრულყოფილად მტკიცებულება. გარდა იმისა რომ ირღვევა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი, დაცვის მხარე აპელირებდა, რომ ,,პირველადი გამოკვლევის შედეგად, ბრალდების მხარის ხელში შესაძლოა აღმოჩნდეს მაინკრიმინირებელი მტკიცებულება, რომელიც დაცვის მხარემ არც კი იცის, ასევე, გასათვალისწინებელია, რომ ისეთ პირობებში, როდესაც დაცვის მხარის შუამდგომლობით ამოღებულ ობიექტს პირველადი გამოკვლევის ფარგლებში

[45] ო. ჯორბენაძე,წინასასამართლო გამოძიებისას და წინასასამართლო განხილვისას ადამიანის უფლებათა დაცვაზე სასამართლო კონტროლის პროცედურები(ნაწილი პირველი), თბ. გამომც. ,,ლეთა", 2016, გვ.95

[46] ი. ჩხეიძე, ,,მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში", თბ. გამომც. ,,მერიდიანი", 2010, გვ. 54

უტარდება ექსპერტიზა, რიგ შემთხვევებში ობიექტის ხასიათიდან, თვისებებიდან გამომდინარე, შესაძლოა წარმოიშვას ვითარება, რომ იგი ვარგისი იყოს მხოლოდ ერთჯერადი გამოკვლევისათვის (გამოლევადია, ექვემდებარება განადგურებას) და ობიექტურად შეუძლებელი გახდეს ამოღებული საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის დაცვის მხარისათვის გადაცემა."[47] აღნიშნული კი განაპირობებს, რომ უნდა იყოს ბრალდების მხარის გამოკვლევაზე დამოკიდებული, რომელიც შესაძლოა არც კი გამოიყენოს სასამართლოში მტკიცებულებად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებების გათვალისწინებით - როდესაც კანონში შედის ცვლილება, იგი წინასწარ უნდა იქნეს ცნობილი ამ კანონის მომხმარებელთათვის, რათა შეძლონ პრაქტიკაში დროული და ეფექტური დანერგვა.[48] გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევა 2019 წლის 30 ივნისიდან.[49]

დაცვის მხარის მიერ შუამდგომლობით მიმართვის წესები, რათქმაუნდა იგივეა რაც ბრალდების მხარისთვის, მაგრამ საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია ,,სიფა" პრაქტიკულ კვლევაზე დაყრდნობით გამოყოფს რამოდენიმე კრიტერიუმს კერძოდ: ,,

- მითითება, რა გარემოების გარკვევას შეუწყობს ხელს მოთხოვნილი ინფორმაცია/მტკიცებულება;
- დასაბუთება, რომ მოსაპოვებელი ინფორმაცია/მტკიცებულება კავშირშია სისხლის სამართლის საქმის გარემოებასთან;
- ინფორმაცია რომ მოთხოვნილი დოკუმენტი/ინფორმაცია მართლაც იქ არის დაცული სადაც საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაა მოთხოვნილი;

---

[47] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება 1/4/809 https://matsne.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

[48] მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (SEPEJ), სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN – ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებები, მე-2 რედაქცია,თარგმ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბიურო, სტრაზბურგი 12.12. 2014, გვ. 5 http://www.library.court.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.06.2019

[49] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება 1/4/809 https://matsne.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

- მტკიცებულება, რომ სასამართლოში მიმართვამდე დაცვის მხარემ მიმართა იმ დაწესებულებას, სადაც სურს სასამართლოს მეშვეობით საგამოძიებო მოქმედების ჩატარება;
- ადვოკატის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ შუამდგომლობა შეტანილია ადვოკატის მიერ."[50]

გარდა ამისა შუამდგომლობა უნდა იყოს ნათელი გასაგები და ერთი კონკრეტული მოთხოვნით. მაგ.: ,,შუამდგომლობაში დაცვის მხარე ითხოვდა ვიდეო კამერის ჩანაწერის დათვალიერებას და საჭიროების შემთხვევაში ვიდეოკამერების ამოღებასაც. სასამართლომ დააკმაყოფილა დათვალიერების მოთხოვნა, ხოლო ამოღების შესახებ განაცხადა, რომ ამოღება დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედებაა და აღნიშნულის თაობაზე მოთხოვნა ცალკე უნდა იქნას დაყენებული."[51]

მნიშვნელოვანია საკითხი, როდესაც დაცვის მხარე მიმართავს შუამდგომლობით სასამართლოს ვიდეომასალის ამოღების თაობაზე. აღნიშნული ფაქტები იმდენად ხშირი იყო, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოუწია განემარტა კანონი თუ რა ექვემდებარება ამოღებას და რა გამოთხოვას, კერძოდ: ,,ინფორმაციის გამოთხოვას საგამოძიებო მოქმედება ამოღებისგან განასხვავებს ამ საგამოძიებო მოქმედების ობიექტის თავისებურებანი და მისი ჩატარების განსხვავებული საკანონმდებლო რეგულაცია. კერძოდ, ინფორმაციის გამოთხოვის დროს ხდება კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებებში დაცული საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან დოკუმენტის (ელექტრონული სახით არსებული ინფორმაციის, ამ შემთხვევაში ობიექტის) მოპოვება, ხოლო ამოღების მიზანია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის (ისეთი

---

[50] ,,სიფა" საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია, ,,დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვება სასამართლოს მეშვეობით" კვლევა და რეკომენდაციები, თბ. გამომც. ,,ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით, 2016, გვ.15 http://www.library.court.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

[51] ,,სიფა" საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია, ,,დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვება სასამართლოს მეშვეობით" კვლევა და რეკომენდაციები, თბ., გამომც. ,,ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით, 2016, გვ.17 http://www.library.court.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

ობიექტის, რომელიც არ არის ელექტრონული სახის) ამოღება.[52] პირველ შემთხვევაში ინფორმაციის გამოთხოვის უფლება აქვს მხოლოდ პროკურორს, ხოლო მეორე შემთხვევაში ამოღების მოთხოვნის უფლება აქვს ორივე მხარეს. აღნიშნულმა განმარტებამ გამოიწვია პროტესტი, რომელიც მომავალში ჩამოყალიბდა საკონსტიტუციო სარჩელის სახით, კერძოდ, პირის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, დანაშაული დაკვალიფიცირებული სსკ-ის 353-ე მუხლით. სავარაუდო ბრალდებული არ აღიარებდა დანაშაულს და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, ვიდეომასალის გამოთხოვის შესახებ სადაც ნათლად ჩანდა, რომ ის თავს იცავდა და ადგილი არ ჰქონია მისი მხრიდან პოლიციის თანამშრომლისათვის ფიზიკურ თუ სიტყვიერ შეურაცხყოფას. შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა კანონის შესაბამისად, რადგან დაცვის მხარეს არ ჰქონდა უფლება ელექტრონული მასალის გამოთხოვის. იმავე შუამდგომლობით მიმართა დაცვის მხარემ პროკურატურას, რომელმაც დააკმაყოფილა ნაწილობრივ საქმისადმი ნაკლებად რელევანტურ ნაწილში, რითიც შეიზღუდა მისი ფუნდამენტური უფლებები. საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა და დაცვის მხარეს მიენიჭა უფლება მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე.[53]

2.2.2 ჩხრეკა/ამოღებს ჩატარების წესი სასამართლოს განჩინების გარეშე.

[52] თბილისის სააპელაციო სასამართლო, განჩინება 1/გ-1430, 2016-09-06 http://www.library.court.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

[53] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება 1/1/650,699 https://matsne.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

ჩხრეკის ჩატარება შესაძლებელია სასამართლოს განჩინების გარეშეც, მაგრამ ამისათვის აუცილებელია არსებობდეს გადაუდებელი აუცილებლობა. კანონმდებლობის მიხედვით გადაუდებელია შემთხვევა, როცა:

- საგამოძიებო მოქმედების დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან გადამალვა. მაგალითად: საგამოძიებო ორგანოში შევიდა ინფორმაცია, რომ ,,BMW" მარკის XX-000-XX ავტომანქანაში, მძღოლს აქვს დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ,,ჰ....." და მოძრაობს მარნეულიდან - წითელი ხიდის მიმართულებით. სახეზე ნამდვილად გვაქვს გადაუდებელი აუცილებლობა, რადგან მძღოლმა შესაძლოა გაანადგუროს, გადამალოს, გაასხვისოს ან საერთოდაც გასცდეს ქვეყნის ფარგლებს.
- საგამოძიებო მოქმედების დაყოვნება მნიშვნელოვანი მტკიცებულების მოპოვებას გახდის შეუძლებელს. მაგალითად: როდესაც საფრთხე იქმნება, რომ შესაძლებელია გამოძიების იურისდიქციას გასცდეს, როგორც ზევით მოყვანილ მაგალითში, ასევე შესაძლებელია დაწვან, დახიონ ან სხვაგვარად მოსპონ მტკიცებულება,
- სხვა საგამოძიებო მოქმედებისას აღმოჩენილი საქმისათვის მნიშვნელოვანი საგანი, ნივთი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. მაგალითად, როდესაც ხდება ზედაპირული დათვალიერება, ანუ ადამიანმა დაარღვია მოძრაობის წესები, გააჩერა საპატრულო პოლიციამ და მოითხოვა საბუთები. სანამ მძღოლმა საპატრულო პოლიციის თანამშრომელს მართვის მოწმობა გადასცა, თანამშრომელმა თვალი გადაავლო მანქანას და დაინახა იარაღის კორპუსის წინა მხარე. ის ვალდებულია გამოარკვიოს და დანაშაულის ნიშნების შემთხვევაში მიმართოს შესაბამის ზომას. ამ შემთხვევაში ჩაატაროს იარაღის ამოღება და თუ დამატებით ეჭვიც გაუჩნდა სხვა დანაშაულის შესაძლო არსებობაზე, ჩაატაროს ჩხრეკაც.
- არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის რეალური საფრთხე. მაგალითად, პოლიციაში შევიდა გამოძახება ქურდობის ფაქტზე, პოლიცია რამოდენიმე წამში

მივიდა შემთხვევის ადგილზე და დახვდა ყაჩაღობა, ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით. ამ დროს გვაქვს გადაუდებელი აუცილებლობა, რომ პოლიციამ მოახერხოს ბრალდებულის განიარაღება და ცეცხლსასროლი იარაღის ამოღება.

როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ვკითხულობთ: იმ შემთხვევაში თუ სასამართლოს გამჩინება არ გვაქვს ჩხრეკის/ამოღების ნებართვის გაცემის თაობაზე, მაშინ ასეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება გამართლებულია პროკურორის/გამომძიებლის დადგენილებით - გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ჩხრეკა/ამოღების თაობაზე[54], მაგრამ ზემოთ მოყვანილ ბოლო ორი მაგალითსას დასაშვებია პროკურორის/გამომძიებლის დადგენილების გარეშეც ჩატარდეს აღნიშნული მოქმედებები. ომარ ჯორბენაძის განმარტებით: ,,პოლიციის თანამშრომელი შეიძლება თვითონ შეესწროს ფაქტს ან გავიდეს გამოძახებაზე (შეტყობინებაზე) ისე, რომ არ იცოდეს იმ პირთა ვინაობა, ვისი გაჩხრეკაც შეიძლება აუცილებელი გახდეს. ვერც ერთ ასეთ შემთხვევაში ვერ იარსებებს გამომძიებლის დადგენილება, რადგანაც პოლიციისთვის (საგამოძიებო ორგანოსათვის) უცნობია სავარაუდოდ გასაჩხრეკი ან შესაძლო დასაკავებელი პირის (პირების) ვინაობა, შესაბამისად, ვერც დადგენილება იქნება გამოტანილი.[55] იგი ამ და მსგავს შემთხვევებს უწოდებს ,,ე.წ. გადაუდებელი აუცილებლობის, ე.წ. გადაუდებელ აუცილებლობას, რომელიც დაასკვნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე, 120-ე, 121-ე და 112-ე მუხლების სისტემატიკური განმარტებისა და ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარე.[56] აღნიშნული მასალით ირკვევა, რომ როცა ხდება სასამართლოს განჩინების გარეშე ჩხრეკა/ამოღების ჩატარება, მთავარია არსებობდეს გადაუდებელი აუცილებლობა და ბრალდების მხარეს შეუძლია ჩაატაროს საგამოძიებო

[54] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი https://matsne.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

[55] ო. ჯორბენაძე, წინასასამართლო გამოძიებისას და წინასასამართლო განხილვისას ადამიანის უფლებათა დაცვაზე სასამართლო კონტროლის პროცედურები (ნაწილი პირველი), თბ. გამომც. ,,ლეთა“, თბ. 2016, გვ. 102

[56] იქვე, გვ.102

ღონისძიებები როგორც დადგენილებით, ისე მის გარეშე. მნიშვნელოვანია საგამოძიებო ორგანომ სწორად შეაფასოს სიტუაცია და დაიცვას ყველა კრიტერიუმი.

- მაგალითად: ზ.მ თავის საცხოვრებელ სახლში უკანონოდ ინახავდა უკანონოდ შეძენილ ცეცხლსასროლ იარაღს - მაკაროვის სისტემის #.... პისტოლეტს, საბრძოლო მასალასა და მჭიდს. აღნიშნული იარაღით, მან კონფლიქტის დროს გ.კ.-ს მიაყენა ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება და რ.მ.-ს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება. ზ.მ.-ს წაეყენა მის მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისი მუხლები სსკ-დან (სსკ-ის 236 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები, 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). გამოძიებამ, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, დადგენილების გარეშე, მომხდარი ფაქტიდან წელიწადი და სამ თვეზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ, ზ.მ.-ს საცხოვრებელ სახლში ჩაატარა ჩხრეკა. გამომძიებელი დაუკავშირდა ზ.მ.-ს დედას ტელეფონით ბინაში ჩხრეკის ჩატარების თაობაზე თანხმობის ასაღებად, რაზეც დედა დათანხმდა. სახლში იმყოფებოდა მხოლოდ ზ.მ.-ს ასაკოვანი ბებია. დედა მოგვიანებით მოვიდა. ჩატარდა ჩხრეკა და ამოღებულიც იქნა ნივთები. საკასაციო პალატამ აღნიშნული ჩხრეკა უკანონოდ ცნო, რადგან გამოძიებისთვის ცნობილი იყო, რომ ბრალდებული სახლში არ იყო და მტკიცებულებებს ვერც გაანადგურებდა და ვერც გადამალვდა. ამასთან, დაუკავშირდნენ დედას, რომელიც საჩხრეკ ობიექტზე არ იყო და შემდეგ გამოცხადდა, ანუ დასჭირდა დრო მისასვლელად. გამოძიებას არ ჰქონია დადგენილებაც კი, რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, რადგან სახეზე არ იყო ,,გადაუდებელი აუცილებლობის ე.წ. გადაუდებელი აუცილებლობა“[57]

მოცემული მაგალითის წინააღმდეგობაში მოდის გ. თუმანიშვილის ნაშრომში მოყვანილ კვლევასთან, კერძოდ ,,იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, თუ გამომძიებელმა ან პროკურორმა სიტუაციის არასწორი შეფასების შედეგად მცდარად დაადგინა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა

[57] საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე #609ა3-15 მ-ა ზ., 609ა3-15 http://prg.supremecourt.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.06.2019

და სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ჩაატარა ჩხრეკა და ამოღება, მაშინ მოპოვებული ინფორმაცია შესაძლებელია დასაშვებ მტკიცებულებად იქნეს ცნობილი, თუ კონკრეტულ შემთხვევაში მაღალია ჩადენილი დანაშაულის დასჯის საჯარო ინტერესი, მოპოვებული მტკიცებულების გარეშე შეუძლებელი გახდებოდა ბრალდებულისათვის ბრალის დამტკიცება და ამასთან, საგამოძიებო მოქმედება კანონით დადგენილი პროცედურების სრული დაცვით განხორციელდა.“[58] აღნიშნული მოსაზრება საინტერესოა თუმცა წინააღმდეგობრივია, როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლთან, სადაც პირდაპირ წერია, რომ სასამართლოს განჩინების გარეშე ადამიანის უფლებების შეზღუდვა დასაშვებია გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამისად გამომძიებელმაც და პროკურორმაც სიტუაციები უნდა შეაფასონ სათანადოდ, რომ ექსცსებს არ ჰქონდეს ადგილი.

პროკურორის ან გამომძიებლის დადგენილებაში (თუკი ასეთი არის) აუცილებლად უნდა აისახოს:

- შაბლონური მონაცემები: ქალაქი, თარიღი, ზუსტი დრო;
- ვის გამოაქვს დადგენილება;
- მოკლე ფაბულა დაწყებული გამოძიების შესახებ;
- გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლები.
- დადგენილების გამომტანი პირის ხელმოწერა, ბეჭედი.

გადაუდებელი აუცილებლობის დროს ჩხრეკის და ამოღების ობიექტზე მისული გამომძიებლის/პროკურორის მიერ განსახორციელებელი მოქმედება იგივეა, რაც სასამართლოს განჩინების საფუძველზე ჩატარებული მოქმედება.[59]

მას შემდეგ, რაც ბრალდების მხარე განახორციელებს საგამოძიებო მოქმედებას გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე, 24 საათის განმავლობაში უნდა მიმართოს სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის მიხედვით და

[58] გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. გამომც. ,,იურისტების სამყარო“, 2014, გვ.
[59] იხილეთ წინა ქვეთავები.

შუამდგომლობით მოითხოვოს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობა. შუამდგომლობაში ნათლად უნდა იყოს მოცემული:

- შაბლონური მონაცემები: ქალაქი, თარიღი;
- შუამდგომლობის ავტორი;
- მოკლე ფაბულა: რა საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება, ვის მიმართ და ა.შ.
- რა საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა, რის საფუძველზე;
- მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული გადაუდებელი აუცილებლობის მოტივი;
- შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა
- ხელმოწერა, ბეჭედი.

შესულ შუამდგომლობას უნდა ერთვოდეს მასალები (შუამდგომლობაში ჩამოყალიბებული აზრის მტკიცებულებები), რომელსაც სასამართლო განიხილავს 24 საათის განმავლობაში, ზეპირი მოსმენის გარეშე, თუმცა შესაძლებელია ზეპირი მოსმენითაც.[60] სასამართლო მსჯელობს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების როგორც სამართლებრივ, ისე ფაქტობრივ საფუძვლებზე. იმ შემთხვევაში თუ ყველა კრიტერიუმი დაცულია და არსებითი ხასიათის დარღვევას ადგილი არ ჰქონია, გამოაქვს დადებითი განჩინება ანუ საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ.[61]

ტერმინი არსებითი ხასიათის დარღვევა არის სუბიექტური ხასიათის, ანუ დამოკიდებულია მოსამართლის აღქმასა და კონკრეტულ შემთხვევას შორის, რამდენად სერიოზული ხასიათისაა დარღვევა და შეუძლია თუ არა მას იმოქმედოს მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობაზე.

არსებითი ხასიათის დარღვევად არ ითვლება, მაგალითად: ,,ჩხრეკა განხორციელდა კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, მაგრამ ოქმში არ არის მითითება პირისთვის [ვისთან ჩატარდა ჩხრეკა], უფლების განმარტების

[60] იხილეთ წინა ქვეთავები.
[61] იხილეთ წინა ქვეთავები.

თაობაზე. აღნიშნულ განმარტებას არ ასაჩივრებს არც თავად მფლობელი და არც მხარეები.“ [62]

არსებითი ხასიათის დარღვევაა და შესაბამისად მტკიცებულებაც დაუშვებელია, როცა ,,დაცვის მხარის მიერ ინიცირებული ამოღება/ჩხრეკა დაცვის მხარის თანხმობით ჩაატარა საქმის მწარმოებელმა გამომძიებელმა [ვინაიდან არც ერთი სხვა გამომძიებელი არ იყო თავისუფალი] ან თავად ადვოკატმა.“[63]

ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ სასამართლოს განჩინების გარეშე ჩხრეკა/ ამოღების ჩატარება შესაძლებელია არა მხოლოდ კანონით გათვალისწინებული შემთხვევისას, არამედ ნებაყოფლობითაც. აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. იგი განაპირობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლში განთავსებულიმა ჩანაწერმა.[64]

რაც შეეხება საგამოძიებო მოქმედება ამოღების წესს, ჩხრეკის იდენტურია, უბრალოდ აქ გასათვალისწინებელია ამოღებული მტკიცებულების ფიქსაცია, კერძოდ სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-5 ნაწილი შესაძლებლობას იძლევა, რომ მტკიცებულება თუკი მისი შეფუთვა ვერ ხერხდება არ შეიფუთოს, მაგრამ ლუქის დადება სავალდებულო ხასიათისაა და არანაირ გამონაკლისს არ ითვალისწინებს კანონმდებლობა. განვიხილით რამოდენიმე მაგალითი:

- საგამოძიებო ორგანოში შედის ინფორმაცია, რომ მეტყევე, რომელიც ტყეში ჭრიდა ხეს, დაეცა მეორე მეტყევეს და ადგილზე გარდაიცვალა. დაიწყო გამოძიება სსკ-ის 116-ე (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით) მუხლით. შემთხვევის ადგილის დათვალიერების შემდეგ ამოსაღებია დანაშაულის იარაღი - ხე. როგორ უნდა დაილუქოს?
- საგამოძიებო ორგანოში შედის შეტყობინება, რომ ს.დ.-მ კლდიდან გადააგდო მ.მ. ეჭვიანობის ნიადაგზე, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. დაიწყო გამოძიება სსკ-ის 108 (განზრახ მკვლელობა) მუხლით. შემთხვევის ადგილის

[62] ლ. ფაფიაშვილი და სხვები, ,,სისხლის საპროცესო სამართალი“, კერძო ნაწილი, თბ. გამომც. ,,მერიდიანი“, 2017, გვ.449

[63] იქვე, გვ.449

[64] შენიშვნა: მოცემულ საკითხზე მსჯელობა იხილეთ პირველივე თავში.

დათვალიერების შემდეგ ამოსაღებია დიდ ლოდზე სავარაუდო მსხვერპლის სისხლი. როგორ ამოიღება და დაილუქება?

- გამომძიებელმა ფაქტზე წაასწრო ადამიანს, რომელიც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად ცდილობდა ხე-ტყის - დიდი მორების დაუფლებას. გამოძიება დაიწყო სსკ-ის 19,177 (ქურდობის მცდელობა) მუხლით. ჩატარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებები და ამოსაღებია დანაშაულის საგანი -დიდი მორები. როგორ ამოიღება და დაილუქება?

აღნიშნულ კითხვებზე პასუხის მოსაძიებლად მივმართე შს სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების საგამოძიებო ნაწილის 10 გამომძიებელს და ვთხოვე ეპასუხათ, თუ როგორ მოიქცეოდნენ თავად პრაქტიკაში, რომ ჰქონოდათ ეს მაგალითები, ასევე დავუსვი 2 ღია შეკითხვა თემის გარშემო, რომელიც მოცემულია კითხვარი I-ის სახით.

კვლევა საინტერესო და თემასთან რელევანტური აღმოჩნდა.

კითხვარი I

სუბიექტი: გამომძიებელი. **ასაკი**: 25-35 წ. **სქესი:** მამრობითი. **გამოკვლეულთა რაოდენობა:** 10. **სანდოობა**: მაღალი ხარისხი.[65]	1. ხომ არ გქონიათ პრობლემა პრაქტიკაში ამოღებული მტკიცებულების დალუქვასთან დაკავშირებით?	2. შეუქმნია აღნიშნულ პრობლემას მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხში?
რესპოდენტი 1	კი მქონია, ვერ ვლუქავთ დიდ და	არაერთგვაროვანია მიდგომა, რადგან ზოგი

[65] მაიდენტიფიცირებელი ნიშნების გაუმჟღავნებლობის გარანტიის მიცემის შემდეგ, გულახდილად ისაუბრეს ამოღებულ მტკიცებულებათა დალუქვის პრობლემებზე, რომლებიც პირადად შეხვდათ პრაქტიკაში. ცხრილში პასუხები გადმოტანილია პირდაპირ, კორექტირების გარეშე.

	ერთგვაროვანი მასის ნივთებს.	მოსამართლე არსებითი ხასიათის დარღვევად თვლის, ზოგი -არა.
რესპოდენტი 2	არა	,-
რესპოდენტი 3	ერთხელ დანაშაულის საგანი - მოპარული პირუტყვი ამოვიღეთ, როგორ უნდა დამელუქა?	არა, აღნიშნულზე პრობლემა არ შემქმნია, უმნიშვნელო დარღვევად ჩაითვალა, ოქმში ზედმიწევნით იყო აღწერილი ყველაფერი, მათ შორის დალუქვის პრობლემაც.
რესპოდენტი 4	კი მქონია. ძალიან დიდი მანქანის საბურავები. 3მ იყო დიამეტრი. ლუქი ფორმალურად მივაწებეთ. ადგილიდანაც ვერ დავძარით.	არა არ მქონია. უმნიშვნელო დარღვევად ჩათვალეს. მთავარია ოქმი იყო დეტალური.
რესპოდენტი 5	კი მქონია. ერთხელ, დანაშაულის საგანი ფქვილი იყო. რა უნდა მექნა? ტრაქტორიანად ამოვიღე. პარკი გადავაფარე და დავლუქე.	არა, პრობლემა არ ყოფილა, ტრაქტორი საქმის დასრულების შემდეგ დაუბრუნდა მეპატრონეს, დანარჩენი შეფუთულიც იყო და ლუქიც ედო.
რესპოდენტი 6	კი მქონია, შეშა ამოვიღეთ და ვერ	დაუშვებლად ცნეს ან ფორმალურად

	დავლუქეთ, მხოლოდ რაოდენობა მივუთითე.	დაგელუქათ ან უფრო დეტალურად აღგეწერათო.
რესპოდენტი 7	არა, არ მქონია.	-
რესპოდენტი 8	კი მქონია, 4მ ხარაჩო უნდა დაგველუქა. ავდექით და მთლიანად შევფუთეთ და ლუქები გადავაწებეთ ერთმანეთზე. სხვანაირად არ გამოდიოდა.	არა, პრობლემა არ შეგვქმნია, ოქმი დეტალურად აღვწერეთ.
რესპოდენტი 9	არა.	-
რესპოდენტი 10	კი. ერთხელ საბრძოლო ჭურვი უნდა ამოგვეღო სარდაფიდან. ზომების ასაღებად სახაზავი დავადეთ დავასურათეთ. ვერც შევფუთეთ და ვერც დავლუქეთ.	კი, პრობლემა შეიქმნა, სურათზე ზომები ბუნდოვანი გამოდგა,ამასთან დაულუქავობის მიზეზების დეტალური აღწერა არ იყო ოქმში. დაუშვებლად ცნეს.

რაც შეეხება ზემოთ მოყვანილი მაგალითების პასუხები ასეთი იყო:

რესპოდენტი 1.

- კაზუსი 1. იმ ხეს დავხერხავდი და ისე შევფუთავდი და დავლუქავდი სათითაოდ.
- კაზუსი 2. სისხლის ანაწმენდებს ავიღებდი ლოდიდან და დავლუქავდი.
- კაზუსი 3. სათითაოდ დავთვლიდი, ზომას ავიღებდი, დავასურათებდი. ფორმალურად მივაკრავდი ლუქს.

რესპოდენტი 2.

- კაზუსი 1. ხის სიგრძეს და სიგანეს გავზომავდი (შემდგომში სიმძიმის დასადგენად), მერე ავიღებდი სისხლის ნიმუშს ხიდან, შევფუთავდი და დავლუქავდი, დოტოებსაც გადავიღებდი რათქმაუნდა.
- კაზუსი 2. მარტივია, ლოდიდან ავიღებდი სისხლის ნიმუშს შევფუთავდი დავლუქავდი.
- კაზუსი 3. სათითაოდ დავთვლიდი რაოდენობას, ლენტს ან თოკს შემოვაკრავდი შეძლებისდაგვარად და დავლუქავდი. ოქმს აღვწერდი მაქსიმალურად დეტალურად.

რესპოდენტი 3.

- კაზუსი 1. დავასურათებდი, ხეს გავზომავდი, სისხლის ანაწმენდებს ავიღებდი ხიდან და ფოთოლს ან ხის ანათლელს ჯიშის დასადგენად. ყველაფერს შევფუთავდი და დავლუქავდი.
- კაზუსი 2. ლოდიდან სისხლის ანაწმენდებს ამოვიღებდი, შევფუთავდი და დავლუქავდი.
- კაზუსი 3. ხის რაოდენობას მივუთითებდი, ჯიშს, დავასურათებდი და ოქმში ლუქის დადების პრობლემებზე ვისაუბრებდი.

რესპოდენტი 4.

- კაზუსი 1. დავასურათებდი, დაცემის ადგილიდან სადაც სისხლის კვალია ხის ფრაგმენტს მოვხერხავდი, შევფუთავდი და დავლუქავდი. ოქმში დეტალურად აღვწერდი მთლიანი ხის ამოღების პრობლემას.
- კაზუსი 2. სისხლის ანაწმენდს ავიღებდი, დავასურათებდი, შევფუთავდი და დავლუქავდი.
- კაზუსი 3. გააჩნია საიდან უნდა ამოვიღო თუ შენობაშია შენობის/ფარეხის/სარდაფის კარს დავლუქავდი, თუ სატვირთოზე ან რაიმე ტიპის საგანზე ალაგია შევფუთავდი და დავლუქავდი მთლიანად, თუ ტრიალ მინდორშია ,,ცელოფანს“ გადავაკრავდი და ლუქს დავადებდი.

რესპოდენტი 5.

- კაზუსი 1. ფოტოს გადავუღებდი, დავხერხავდი ფრაგმენტებად და ამოვიღებდი, შევფუთავდი და ლუქსაც დავადებდი. ოქმში დეტალურად აღვწერდი დახერხვის მიზეზს.
- კაზუსი 2. ლოდიდან სისხლის ანაწმენდებს ამოვიღებდი, შევფუთავდი და დავლუქავდი.
- კაზუსი 3. ჯერ დავასურათებდი, მერე რაოდენობას დავთვლიდი, ჯიშს და ცელოფანს გადავაკრავდი შეძლებისდაგვარად, ვეცდებოდი და დავლუქავდი, თუ ვერ შევძლებდი პრაქტიკული მიზეზი მექნებოდა რასაც ოქმში აღვწერდი და დაუშვებლობის რისკებს მინიმუმამდე დავიყვანდი.

რესპოდენტი 6.

- კაზუსი 1. ფოტოებს გადავუღებდი, ხეს გავზომავდი და სისხლის ანაწმენდებს ავიღებდი ხიდან რასაც შევფუთავდი და დავლუქავდი.
- კაზუსი 2. მარტივია, ლოდიდან ანაწმენდებს ავიღებდი, შევფუთავდი და დავლუქავდი, აბა ლოდს ხომ ვერ ამოვიღებდი თან თუ მიწაშია.
- კაზუსი 3. თოკით შეკვრას შევეცდებოდი და დავლუქავდი, ან ფორმალურად ლუქს მივაკრავდი და ოქმს დეტალურად აღვწერდი, მათ შორის შექმნილ პრობლემას.

რესპოდენტი 7.

- კაზუსი 1. ხის სიგრძეს და დიამეტრს დავადგენდი გაზომვით, დავასურათებდი და სისხლის ანაწმენდს ავიღებდი, შევფუთავდი და დავლუქავდი.
- კაზუსი 2. სისხლის ანაწმენდს ავიღებდი ლოდიდან, შევფუთავდი და დავლუქავდი. სურათებსაც გადავუღებდი რათქმაუნდა, მეტი სიმყარისთვის.
- კაზუსი 3. თუ ღია სივრცეშია ვერ დავლუქავდი, ალბათ დეტალურად აღვწერდი მიზეზებს, რაოდენობას დავითვლიდი და მოცულობას.

რესპოდენტი 7.

- კაზუსი 1. ფოტოებს გადავუღებდი და დავხერხავდი და ისე შევფუთავდი და დავლუქავდი.

- კაზუსი 2. სისხლის ანაწმენდს ავიღებდი ლოდიდან, შევფუთავდი და დავლუქავდი.
- კაზუსი 3. დავასურათებ, რაოდენობას და ჯიშს მივუთითებ და ფორმალურად მივაკრავ ლუქს.

რესპოდენტი 8.

- კაზუსი 1. გადავუღებ სურათებს რომ ხე ნამდვილად გადანაჭრელია, გადავუღებ იმ ნაწილსაც რაც დაეცა ადამიანს, ხიდან ანათლელს ავიღებ სისხლის კვალიან ადგილს, შევფუთავ და დავლუქავ.
- კაზუსი 2. ლოდს ვერ ამოვიღებ, ამიტომ ლოდიდან ავიღებ სისხლის ნიმუშს, შევფუთავ და დავლუქავ. სურათებს გადავუღებ აუცილებლად.
- კაზუსი 3. როგორმე შევფუთავ და ლუქებს გადავაბავ. ოქმს დეტალურად აღვწერ.

რესპოდენტი 9.

- კაზუსი 1. პირველ რიგში ფოტოებს გადავიღებ, შემდეგ ხიდან სისხლის ნიმუშს ავიღებ, შევფუთავ და დავლუქავ. ოქმს დეტალებში ავღწერ.
- კაზუსი 2. ლოდიდან სისხლის ნიმუშს ავიღებ, შევფუთავ და დავლუქავ, მარტივია.
- კაზუსი 3. რაოდენობას და ჯიშს მივუთითებ, ფოტოზე აღვბეჭდავ, ოქმში დავწერ, რომ ფიზიკურად შეფუთვა და ლუქის დადება შეუძლებელია.

რესპოდენტი 10.

- კაზუსი 1. სურათებს გადავუღებ ყველა მხრიდან, დავაფიქსირებ რომ ხე მონაჭრელია, ახლოდან გადავიღებ დაცემის ადგილს, სადაც სისხლის კვალია, ავიღებ სისხლის ნიმუშს და ხის ნიმუშს შევფუთავ და დავლუქავ. ოქმს დეტალურად აღვწერ.
- კაზუსი 2. სისხლის ნიმუშს ავიღებ ლოდიდან, რისი შეფუთვა და დალუქვაც არ არის საპრობლემო. ფოტოებსაც გადავუღებ.
- კაზუსი 3. რაოდენობას დავითვლიდი, მოცულობასაც, რაიმე ლენტს შემოვავლებდი და დავლუქავდი. ფორმალური მცდელობა მაინც მექნებოდა,

რასაც ოქმში დავაფიქსირებდი დეტალურად, რომ დაუშვებლად ცნობის საფრთხე მაქსიმალურად შემემცირებინა.

აღნიშნულ კვლევაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ საგამოძიებო მოქმედება ამოღების წესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია: ამოღების ოქმის დეტალური აღწერა და ლუქის დადება. კვლევამ აჩვენა, რომ მოცემული კაზუსებიდან ყველაზე პრობლემატური აღმოჩნდა - მესამე - ათივე რესპოდენტის პასუხი არის მერყევი, რაც განაპირობა ამოსაღები საგანის სიდიდემ. ჩატარებული გამოკითხვიდან გამომდინარე, ცალსახად იკვეთება დიდ და ერთგვაროვან საგნებზე ლუქის დადების პრობლემა, რაც წარმოძობს დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შიშს.

2.3. ჩხრეკა/ამოღების სახეები

საგამოძიებო მოქმედება ჩხრეკა/ამოღებას გააჩნია სახეები, რომელთა დაყოფაც პირობითად შეგვიძლია სუბიექტისა და ობიექტის მიხედვით.

ჩხრეკა ობიექტის მიხედვით შეიძლება იყოს:

- ბინის/სახლის;
- სადგომის/სარდაფის/დარდულის;

- ეზოს ან/და მიმდებარე ტერიტორიის;
- სამსახურის/ოფისის(იურიდიულ პირთან);
- ჩხრეკა/ამოღება დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაში და დიპლომატიურ წარმომადგენელთან;
- ჩხრეკა/ამოღება და დაყადაღება მასმედიის, გამომცემლობის რედაქციაში, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რელიგიური, საზოგადოებრივი, ორგანიზაციების და პოლიტიკური პარტიების სათავსებში.

სუბიექტის მიხედვით გვაქვს პირადი ჩხრეკა, რომელზეც ,,ვრცელდება ჩხრეკის საპროცესო კანონით (სსსკ-ის 120-ე მუხლი) დადგენილი წესი.[66]

ჩამოთვლილი ობიექტებიდან პირველ სამ შემთხვევაში მოქმედებს სტანდარტული, აწ უკვე განხილული წესები. რაც შეეხება დანარჩენ სახეებს ოდნავ სპეციფიკური მიდგომა აქვს. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ჩხრეკა/ამოღება სამსახურის/ოფისის/იურიდიულ პირთან - გარდა სტანდარტული წესებისა, როდესაც ჩხრეკა/ამოღების ჩატარება ხდება იურიდიულ პირთან, სავალდებულოა ამ იურიდიული პირის დასწრება, არ აქვს მნიშვნელობა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება სასამართლოს განჩინებით ტარდება თუ მის გარეშე გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით.[67] ჩხრეკა/ამოღებაზე დასწრების სავალდებულოობა განისაზღვრება იურიდიული პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს ინტერესების სფეროდან გამომდინარე, კერძოდ: თუ ამოსაღები მტკიცებულება განეკუთვნება იურიდიულ პირს, მაშინ მისი დასწრება სავალდებულოა და დაუსწრებლობა კანონის დარღვევა, ხოლო თუ ამოსაღები ობიექტი ეკუთვნის იურიდიული პირის ტერიტორიაზე მყოფ პირს, რომელთან კავშირი ან უშუალოდ ინტერესის სფერო არ აკავშირებს ამ იურიდიულ პირს მაშინ დასწრება არ არის სავალდებულო ხასიათის და შესაბამისად ასეთი იურიდიული

[66] მ. ლომსაძე, ,,სისხლის სამართლის პროცესი", მეშვიდე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბ. გამომც. ,,იურისტების სამყარო", 2018, გვ. 209

[67] ლ. ფაფიაშვილი და სხვები, ,,საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი", კერძო ნაწილი, თბ. გამომც. ,,მერიდიანი", 2017, გვ.468

პირის საგამოძიებო მოქმედებაზე დაუსწრებლობა არ გამოიწვევს კანონის დარღვევას.[68]

ჩხრეკა/ამოღება დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაში და დიპლომატიურ წარმომადგენელთან - სსსკ-ის 222-ე მუხლის თანახმად, ჩხრეკა და ამოღება ,,დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, აგრეთვე მის ან/და მისი ოჯახის წევრის მიერ დაკავებულ შენობასა და სატრანსპორტო საშუალებაში"[69] შეიძლება ჩატარდეს 2 შემთხვევაში:

- დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელობის თხოვნით მომართვის შედეგად;
- როდესაც, საგამოძიებო ორგანო მიმართავს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის წერილით (ე.წ. შუამდგომლობით სადაც ჩამოყალიბებული და დასაბუთებული უნდა იყოს თანხმობის მოთხოვნის საფუძვლები) - დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელობის თანხმობის გამოთხოვის თაობაზე, დაკმაყოფილების შედეგად. ,,თანხმობის მოპოვების შემთხვევაში არ არის საჭირო სასამართლოსთვის მიმართვა ჩატარებული ამოღება/ჩხრეკის დაკანონების მიზნით"[70]

მნიშვნელოვანია საკითხი, რომ ნებისმიერ ზემოთ ნახსენებ შემთხვევაში, საგამოძიებო მოქმედებას უნდა ესწრებოდეს ,,საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ან წარმომადგენელი."[71]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 123-ე მუხლი არეგულირებს **ჩხრეკა/ამოღება/დაყადაღების საკითხებს მასმედიის, გამომცემლობის რედაქციაში, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რელიგიური,**

---

[68] თბილისის სააპელაციო სასამართლო, განჩინება 1გ-48 (2015-06-16) http://www.library.court.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

[69] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი https://matsne.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

[70] ლ. ფაფიაშვილი, ,,საქართველოს სისხლის საპროცესო კოდექსი", კერძო ნაწილი, თბ. გამომც. ,,მერიდიანი", 2017, გვ. 470

[71] იქვე, გვ. 470

საზოგადოებრივი, ორგანიზაციების და პოლიტიკური პარტიების სათავსებში.[72] ამ მუხლის განმარტებიდან გამომდინარე, საგამოძიებო ორგანოებმა ყველა შემთხვევაში უნდა მიმართონ სასამართლოს შუამდგომლობით ჩხრეკა, ამოღება ან/და დაყადაღების განჩინების გაცემის თაობაზე. მათ არ შეუძლიათ ჩაატარონ ჩხრეკა, ამოღება ან/და დაყადაღება გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, თუკი არ აქვთ დასაბუთებული ვარაუდი, რომ მასმედიის, გამომცემლობის რედაქციაში, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რელიგიური, საზოგადოებრივი, ორგანიზაციების და პოლიტიკური პარტიების სათავსებში ინახება დანაშაულის საგანი ან/და იარაღი.

სასამართლომ, მასმედიის, გამომცემლობის რედაქციაში, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რელიგიური, საზოგადოებრივი, ორგანიზაციების და პოლიტიკური პარტიების სათავსებში ჩხრეკა, ამოღება ან/და დაყადაღების ნებართვის გაცემამდე უნდა იმსჯელოს 3 კრიტერიუმზე:

- ხომ არ არის საჯაროდ გავრცელების მოლოდინი;
- ხომ არ გამოიწვევს საქართველოს კონსტიტუციით დაცულ უფლებების: სიტყვის, აზრის, რწმენის, აღმსარებლობის და ა.შ. შეზღუდვას;
- რამდენად უზრუნველყოფს მოთხოვნილი საგამოძიებო მოქმედება კანონით დაცულ უფლებათა შეზღუდვის მინიმალიზაციას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლის მიხედვით: ,,თუ ამოღებული საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი მხარემ სასამართლოში მტკიცებულებად არ წარადგინა, იგი, როგორც წესი, უბრუნდება იმ პირს, რომლისგანაც იქნა ამოღებული.

თუ ამ მუხლის შესაბამისად დაბრუნებულ საგანთან, დოკუმენტთან, ნივთიერებასთან ან ინფორმაციის შემცველ სხვა ობიექტთან დაკავშირებით მესამე პირი პრეტენზიას აცხადებს, დავა განიხილება სამოქალაქო წესით“[73]

---

[72] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი https://matsne.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

[73] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი https://matsne.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

რაც შეეხება **პირად ჩხრეკას,** მისი არსი და მიზანია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების აღმოჩენა ,,პირის ტანსაცმელზე, მის ხელთ არსებულ ნივთში ან სატრანსპორტო საშუალებაში, სხეულზე ან სხეულში.“[74]

- მაგალითად, 2018 წლის 15 იანვარს, 15:06-15:34 საათამდე დროის შუალედში სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის გამოძიების მიზნით, გადაუდებელი აუცილებლობით გაიჩხრიკა ,,ფოლცვაგენის“ მარკის ავტომანქანა. რაც სასამართლომ კანონიერად ცნო, რადგან სახეზე იყო ძებნის საჭიროებაც და სახეზე იყო მტკიცებულების განადგურების შესაძლებლობა.[75]
- მაგალითად, 2018 წლის 10 მარტს, მოქალაქეს სადარბაზოდან მოპარეს მოპედი, რომლის თაობაზეც იმავე წლის 17 მარტს განაცხადა პოლიციაში და აღნიშნა, რომ მისი კუთვნილი მოპედით მოძრაობდნენ ბოჭორიშვილის ქუჩაზე. პოლიციამ მოახდინა სწრაფი რეაგირება. დააკავეს პიროვნება მოპედით და გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა. სასამართლომ აღნიშნული პირადი ჩხრეკა არ ცნო კანონიერად და განმარტა, რომ ,,არ არსებობდა არანაირი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ საჭირო იყო მისი ძებნა და მითუმეტეს პირადი ჩხრეკის სახით.“ მათ უნდა ჩაეტარებინათ ამოღება.[76]

პირადი ჩხრეკის ჩატარების საფუძველია, როგორც სასამართლოს განჩინება, ისე გამომძიებლის დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობით ჩასატარებელი ჩხრეკის თაობაზე.

სსსკ-ის 121-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, პირადი ჩხრეკის გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს დასაბუთებული ვარაუდი, ,,რომ დაკავებულს აქვს იარაღი ან აპირებს თავიდან მოიშოროს დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი მტკიცებულებები“.[77]

---

[74] სსსკ-ის 121 მუხლი https://matsne.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

[75] თბილისის საქალაქო სასამართლო, მოსამართლე ე. გოგუაძე, განჩინება 11ბ/--------, 16.01.2018

[76] თბილისის საქალაქო სასამართლო, მოსამართლე ვ.მრელაშვილი, განჩინება 11ბ/-------, 19.03.2018

[77] სსსკ-ის 121-ე მუხლის მე-2 ნაწილი https://matsne.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

,,პირადი ჩხრეკა შეიძლება იყოს არასრული [იჩხრიკება მაგ., ხელბარგი, ნივთები, ტანსაცმელი, მაგრამ არ იჩხრიკება ადამიანის სხეული] და სრული [იჩხრიკება სხეულიც და ხელბარგი, ნივთები, ტანსაცმელი, სატრანსპორტო საშუალება].“[78]

პირადი ჩხრეკის ჩატარება შესაძლებელია, როგორც სხვა საგამოძიებო მოქმედებასთან ერთად, ისე ცალკე - დამოუკიდებლადაც. ,,მაგალითად, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირს აქვს ცეცხლსასროლი იარაღი. თუ პირადი ჩხრეკა ,,უშედეგო“ აღმოჩნდება და არც დაკავების საფუძველი არსებობს, პირადი ჩხრეკის ოქმი მაინც უნდა შედგეს და სასამართლო მაინც შეამოწმებს ჩხრეკის კანონიერებას დადგენილი წესით.“[79] ხოლო იმ შემთხვევაში თუ პირად ჩხრეკას მოჰყვა დაკავება, ან პირიქით, მაშინ ოქმი პირადი ჩხრეკის შესახებ აღარ დგება, რადგან თავად დაკავების ოქმში აღინიშნება პირადი ჩხრეკის შესახებ ინფორმაცია. ოქმი შესაძლებელია შედგეს როგორც ადგილზე, ისე პოლიციის დაწესებულებაში, თუკი სახეზე არის ოქმის შედგენის ობიექტური შეუძლებლობა.[80]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს რა პირის კონსტიტუციურად გამყარებულ პატივისა და ღირსების შელახვის დაუშვებლობის პრინციპს, 121-ე მუხლის მე-4 ნაწილში აკონკრეტებს პირადი ჩხრეკის თანმდევ შესაძლო პროცესებს, კერძოდ ,,თუ პირად ჩხრეკას თან სდევს გაშიშვლება, იგი უნდა ჩაატაროს იმავე სქესის პირმა. ამ დროს დასაშვებია მხოლოდ იმავე სქესის პირთა მონაწილეობა.“[81]

ავტორთა კოლექტივი კარგად მიჯნავს საპოლიციო შემოწმებასა და პირად ჩხრეკას: ,,შემმოწმებელ პირთა და იქ მყოფთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ხოლო პირადი ჩხრეკის - მტკიცებულების დაცვა/მოპოვება.“[82]

---

[78] ლ. ფაფიაშვილი და სხვები, ,,საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი“, კერძო ნაწილი, თბ., გამომც. ,,მერიდიანი“, 2017 , გვ. 473

[79] ლ. ფაფიაშვილი და სხვები, ,,საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი“, კერძო ნაწილი, თბ., გამომც. ,,მერიდიანი“, 2017 ,გვ. 472

[80] იქვე, გვ. 472

[81] სსსკ-ის 121-ე მუხლის მე-4 ნაწილი https://matsne.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2019

[82] ლ. ფაფიაშვილი და სხვები, ,,საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი“, კერძო ნაწილი, თბ. გამომც. ,,მერიდიანი“, 2017 , გვ. 474

შ. ფაფიაშვილის აზრით: ,,კრიმინალისტიკური მეცნიერების ცოდნისა და პრაქტიკაში მისი სწორად და მიზნობრივად გამოყენების გარეშე არ შეიძლება ვილაპარაკოთ დანაშაულთა ჯეროვან გამოძიებაზე,“[83] რომლისკენაც მიმართულია საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის ჩხრეკა და ამოღება. სწორედ ამიტომ საინტერესოა ჩხრეკა/ამოღების ტაქტიკური ხერხები.

ხერხის მიხედვით ჩხრეკა შეიძლება იყოს:

- ცალკეული და ჯგუფური ჩხრეკა;
- ერთობლივი და ცალ-ცალკე ჩხრეკა;
- თანმიმდევრული და შერჩევითი ჩხრეკა;
- შემხვედრი ჩხრეკა;
- ჩხრეკის ობიექტის დაშლით და დაუშლელად ჩატარებული ჩხრეკა;
- განმეორებითი ჩხრეკა (საჭიროა ახალი განჩინება - სასამართლოს ნებართვა).

საგამოძიებო მოქმედება დაკითხვისგან განსხვავებით, ჩხრეკა შეიძლება იყოს როგორც ცალკეული, ისე ჯგუფური.

ცალკეული ჩხრეკა ერთ ობიექტზე ჩატარებული ჩხრეკაა, ხოლო ჯგუფურია ჩხრეკა, როდესაც რამოდენიმე ობიექტზე ხდება ჩხრეკის ჩატარება ერთდროულად, ერთსა და იმავე დღეს და საათზე ან ერთ ობიექტზე რამოდენიმე გამომძიებელი ატარებს ჩხრეკას.

ტაქტიკური ხერხის მიხედვით, ჩხრეკა შეიძლება იყოს ერთობლივი და ცალ-ცალკე.

ერთობლივია ჩხრეკა, როდესაც ორი გამომძიებელი ერთდროულად ახდენს გასაჩხრეკი ობიექტის კვლევას. ხოლო ცალ-ცალკეა ჩხრეკა, როცა ორი გამომძიებელი დამოუკიდებლად აწარმოებს ჩხრეკის ობიექტის გამოკვლევას.

ჩხრეკა შეიძლება იყოს თანმიმდევრული და შერჩევითი. თანმიმდევრულია, როდესაც გამომძიებელი გასაჩხრეკ ობიექტზე საათის ისრის მიმართულებით იწყებს ყველაფრის ჩხრეკას, ხოლო შერჩევითია, როცა იკვლევს სხვადასხვა ისეთ ნივთებს,

[83] შ. ფაფიაშვილი, ,,იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკის ზოგიერთი პრობლემა“, თბ. გამომც. ,,მერიდიანი“, 2008, გვ. 33-34

რომელიც მისი მოსაზრებით გამოსადეგია გამოძიებისათვის. აღნიშნული სუბიექტური ხასიათისაა და მას წყვიტავს თავად ჩხრეკის მწარმოებელი.

შემხვედრია ჩხრეკა, როდესაც ორი გამომძიებელი გასაჩხრეკი ობიექტის (მაგ.: სახლი) ჩხრეკას იწყებენ სხვადასხვა მხრიდან და ჩხრეკის პროცესში ხვდებიან ცენტრში.

ჩხრეკის ჩატარება შეიძლება მოხდეს ობიექტის დაშლით ან დაუშლელად. მაგ.: გამომძიებელი ატარებს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკას და ეძებს დანაშაულის საგანს - ნარკოტიკულ საშუალებას. გაჩხრიკა კარადა, სადაც საკიდზე გარეგნული ტანსაცმლის დათვალიერების შედეგად გაუჩნდა გონივრული ეჭვი, რომ კოსტუმის სარჩულში რაღაც არის. იგი ჩხრეკის საგანს - კოსტუმს დაარღვევს, რათა დარწმუნდეს თავისი მოსაზრების სისწორეში. [84]

[84] შ. ფაფიაშვილი, ,,კრიმინალისტიკა", ტომი II, დანაშაულის გახსნის ტაქტიკა, თბ. გამომც. ,,მერიდიანი", 2007, გვ. 302-303

თავი III. კვლევის შედეგები.

ჩემს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ჩხრეკა და ამოღება არის საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც ტარდება სისხლის სამართლის საქმეზე. მიუხედავად არაერთგვაროვანი შეხედულებისა, იგი არის უალტერნატივოდ იძულებითი ხასიათის ღონისძიება და მიმართულია მტკიცებულებათა მოპოვებისაკენ. ჩხრეკა-ამოღება დაკავშირებულია ადანიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან, რომელიც შესაძლებელია, თუკი სახეზე გვაქვს რამოდენიმე კრიტერიუმის ერთობლიობა: საზოგადოება უნდა იყოს დემოკრატიული, შეზღუდვის დასაშვებობა პირდაპირ უნდა იყოს კანონში გაწერილი და უნდა ემსახურებოდეს კანონით გათვალისწინებულ ლეგიტიმურ მიზანს, ამასთან მეცნიერთა ნაწილი ხაზგასმით მიუთითებს პრეცენდენტული სამართლის როლზე, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ქმედობათა ცოცხლად ამსახველ ინსტიტუტზე.

ზემოთ მოცემული მასალიდან გამომდინარე, იკვეთება სსსკ-ის 112-ე მუხლის ბოლო წინადადების შეუსაბამობა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლთან.

ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ ჩხრეკის საფუძველი, გარდა დასაბუთებული ვარაუდისა, არის სამი კრიტერიუმის ერთობლიობა: ვისთან (პირის იდენტიფიკაცია) ინახება გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულება, რა მისამართზე ინახება გამოძიებისთვის საჭირო მტკიცებულება და ძებნის საჭიროება. ხოლო ამოღების საფუძველს გარდა ინფორმაციათა ერთობლიობისა, წარმოადგენს დამატებით ოთხი პირობა: ვისთან ინახება გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულება/ვინ არის პასუხისმგებელი პირი ამოსაღებ ნივთზე,

ამოსაღები ნივთის ზუსტი ადგილმდებარეობა, თავად ამოსაღები ნივთის ნიშან-თვისებების ცოდნა და პროცესის რომელ მხარესთანაა ამოსაღები ობიექტი.

კვლევამ აჩვენა, რომ გარდა ზემოთ მოცემული სამართლებრივი საფუძვლებისა, საჭიროა ფორმალური საფუძვლებიც ანუ კანონით პირდაპირ და ზედმიწევნით დაკომპლექტებული წესები, რომელთა დაცვაც სავალდებულოა ამ საგამოძიებო მოქმედებების მიზნის მისაღწევად და პროცესის მონაწილე პირთა მხრიდან თვითნებური ქმედობის თავიდან ასაცილებლად. სწორედ ამ წესების კვლევამ გამოკვეთა დიდ და ერთგვაროვან ნივთებზე ლუქის დადების პრობლემა და დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შიში.

დასკვნა

ჩხრეკა და ამოღება არის იძულებითი ხასიათის ღონისძიება, მაგრამ სსსკ-ის 112-ე მუხლის ჩანაწერიდან გამომდინარე იკვეთება გამონაკლისი შემთხვევა, რაც საქართველოს კონსტიტუციასთან არ მოდის შესაბამისობაში. აღნიშნული საკითხის დარეგულირებას შეეცადა სასამართლო პრაქტიკა, რომელმაც დაადგინა, რომ გასაჩხრეკი ობიექტის მფლობელის ნებაყოფლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება მაინც უნდა გადამოწმდეს სასამართლოს მეშვეობით. გამომდინარე იქიდან, რომ ჩატარებული ჩხრეკა/ამოღების თაობაზე სასამართლოს განჩინება არის მხოლოდ 2 სახის: ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობა და ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ და დაუშვებელ მტკიცებულიბად ცნობა, გამოდის, რომ სასამართლომ უალტერნატივოდ უნდა დააკმაყოფილოს შუამდგომლობა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩხრეკი ობიექტის მფლობელის ნებაყოფლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება იქნება დაუშვებელი მტკიცებულება. აღნიშნული თემა რამდენადმე გაურკვეველია, რადგან თუ სასამართლო ყველა შემთხვევაში უალტერნატივოდ აკმაყოფილებს ასეთ საგამოძიებო მოქმედების კანონიერებას. მაშინ რაღა საჭიროა შუამდგომლობის შედგენა, დამატებითი პროცედურების ჩატარება და დროის ფუჭი დაკარგვა? პასუხი ერთია: ნორმა არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლს, რაზეც სწორად მიუთითებს პროფესორი ბ-ნ ვენედი ბენიძე სტატიაში

,,სისხლის სამართალი, საპროცესო კანონმდებლობის ერთი ხარვეზის შესახებ“. მისი აზრით, რასაც ჩვენც სრულად ვიზიარებთ, კონსტიტუციის ზემოდხსენებულ მუხლში არსად არ არის მითითებული, რომ თანამესაკუთრის ან თანამფლობელის თანხმობის შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედება არ საჭიროებს სასამართლო კონტროლს და შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის განჩინების გარეშე. აქ უკვე იკვეთება რეგულირების 2 ვარიანტი: ან უნდა გაუქმდეს სსსკ-ის 112-ე მუხლის ბოლო წინადადება, რომ საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოვიდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონი, ან თავად კონსტიტუციაში უნდა აისახოს ჩხრეკის ჩატარების ნებაყოფლობითი ხასიათი, მისი თანმდევი შედეგებით.

რაც შეეხება ამოღებული მტკიცებულების ფიქსაციას, სასურველია სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-5 ნაწილს დაემატოს გამონაკლისი: ლუქის დადების სავალდებულოობა, გარდა დიდი და ერთგვაროვანი მასებისა. აღნიშნული საკითხი ხელს შეუწყობს სწრაფ და ეფექტურ გამოძიებას და დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შიშიც აღარ იარსებებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

მონოგრაფიები:

1. ბენიძე ვ., ,,სისხლის სამართალი, საპროცესო კანონმდებლობის ერთი ხარვეზის შესახებ“, ,,ცხოვრება და კანონი“ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟუ-ლი #3-4 (35-36), თბ. 2016, გვ.51-53
2. გახოკიძე ჯ. და სხვები, ,,საგამოძიებო სამართალი“, წიგნი პირველი, გამომც. ,,იურისტების სამყარო“, თბ. 2018
3. ერიაშვილი ნ., ,,წინასწარი გამოძიების ფსიქოლოგიური თავისებურებები“, რედ.: ბარამიძე ს., სულხანიშვილი მ., გამომც. ,,სამართლიანი საქართველო“, თბ. 2010
4. თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, ,,კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში“, სამეცნიერო რედ.: ღლონტი გ., სარედ. კოლეგია: გამყრელიძე ო. და სხვები, თბ. 2008
5. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, გამომც. ,,იურისტების სამყარო“, თბ. 2014

6. ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი, თანდართული ტესტების ნიმუშებით, მეხუთე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, გამომც. ,,ბონა კაუზა“, თბ. 2015
7. ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი, მეშვიდე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, გამომც. ,,ბონა კაუზა“, თბ. 2018
8. მამნიაშვილი მ. და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, მეორე გამოცემა, გამომც. ,,იურისტების სამყარო“, თბ. 2013
9. მაჭარაშვილი ვ., ,,მხარეთა მიერ საგამოძიებო მოქმედებების წარმოება სისხლის სამართლის პროცესში“, ჟუ-ლი: ,,მართლმსაჯულება და კანონი“, #3(55)17, გვ. 128-132, თბ. 2017
10. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ,,ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში“, ავტ.-ბი: ხუციშვილი ე., ვერძეული ს., თბ. 2012
11. ,,სიფა“ საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია, ,,დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვება სასამართლოს მეშვეობით“ კვლევა და რეკომენდაციები, გამომც. ,,ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით, თბ.2016
12. ფაფიაშვილი ლ. და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომც. ,,მერიდიანი“, თბ. 2015
13. ფაფიაშვილი ლ. და სხვები, საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, გამომც. ,,მერიდიანი“, თბ. 2017
14. ფაფიაშვილი შ., ,,იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკის ზოგიერთი პრობლემა“, გამომც. ,,მერიდიანი“, თბ. 2008
15. ფაფიაშვილი შოთა, კრიმინალისტიკა, ტომი II, გამომცემლობა ,,მერიდიანი“, თბ. 2007
16. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია 8, პედაგოგი-სამეული, მთავარი რედ. ი. აბაშიძე, გამომცემლობა ,,მთავარი სამეცნიერო რედაქცია“, თბ. 1984

17. შაყულაშვილი თეა, ,,ბინის (სხვა მფლობელობის) პირადი დოკუმენტების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა სისხლის სამართლის პროცესში“, ჟუ-ლი: ,,მართლმსაჯულება და კანონი“, #2(37)13, გვ. 126-135, თბ. 2013
18. შენგელია რომან, 70 საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, გამომცემლობა ,,სამართალი“, თბ.2012
19. ჩხეიძე ია, ,,მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში“, გამომცემლობა ,,მერიდიანი“, თბ. 2010
20. ჯორბენაძე ომარ, წინასასამართლო გამოძიებისა და წინასასამართლო განხილვისას ადამიანის უფლებათა დაცვაზე სასამართლო კონტროლის პროცედურები (ნაწილი პირველი), გამომცემლობა ,,ლეთა“, თბ. 2016

უცხოური ლიტერატურა:

21. მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია SEPEJ, სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURNI-ს განახლებული სახელმძღვანელო მითითებები, მე-2 რედაქცია, თარგ. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბიურო, სტრაზბურგი 2014
22. სმიტი რონა კ.მ, ,,ადამიანის საერთაშორისო უფლებები, სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, რედ.: ჯოხაძე გიორგი, მთარგმნ.: კობიაშვილი მანანა, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ნიუ-იორკი 2005
23. ტრექსელი შტეფან, სამერსი სარა კ.-ს დახმარებით, ,,ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, მთარგმნ.-ბი: გოგელია ვანო და სხვები, სარედ. კოლეგია: ვარძელაშვილი კონსტანტინე და სხვები, first edition was originally published in English 2005

სასამართლო პრაქტიკა:

24. თბილისის სააპელაციო სასამართლო, განჩინება 1/1197 (2016-07-14)
25. თბილისის სააპელაციო სასამართლო, განჩინება 1/გ-132 (2015-02-10)
26. თბილისის სააპელაციო სასამართლო, განჩინება 1/გ-1430, (2016-09-06)

27. თბილისის სააპელაციო სასამართლო, განჩინება 1/გ-218 (2013-04-18)
28. თბილისის სააპელაციო სასამართლო, განჩინება 1გ-48 (2015-06-16)
29. თბილისის საქალაქო სასამართლო, მოსამართლე გ. კერატიშვილი, განჩინება 11ა/-------, 27.02.2018 (იხ. დანართი)
30. თბილისის საქალაქო სასამართლო, მოსამართლე ე. გოგუაძე, განჩინება 11ბ/-----16.01.2018 (იხ. დანართი)
31. თბილისის საქალაქო სასამართლო, მოსამართლე ე. კულულაშვილი, განჩინება, #------18 21.02.2018 (იხ. დანართი)
32. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება 1/1/650,699
33. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება 1/4/809
34. საქართველოს უზენაესი სასამართლო, განჩინება #609აპ-15, (2016-05-19)

ნორმატიული აქტები:

35. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია 1950 წლის 4 ნოემბერი.
36. საერთაშორისო პაქტი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წლის 16 დეკემბერი.
37. საქართველოს კონსტიტუცია 1995 წლის 24 აგვისტო. (ახ. რედ)
38. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2009 წლის 9 ოქტომბერი.

ვებ. გვერდები:

39. www.library.court.ge
40. www.matsne.gov.ge
41. www.prg.supremecourt.ge

დანართი 1.

თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილი 2017-2018 წლის სტატისტიკა ჩხრეკა/ამოღებასთან დაკავშირებით, დიაგრამის სახით.


შუამდგომლობა
2017 წ.
7000
6000
5000
4000
3000
2000
1000
0
ამოღება
ჩხრეკა
ჩატარებული ამოღების კანონიერება
ჩატარებული ჩხრეკის კანონიერება
სულ შემოსული
დაკმაყოფილა


შუამდგომლობა
2018 წ.
7000
6000
5000
4000
3000
2000
1000
0
ამოღება
ჩხრეკა
ჩატარებული ამოღების კანონიერება
ჩატარებული ჩხრეკის კანონიერება
სულ შემოსული
დაკმაყოფილა